ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 19 მარტი, 2013 №65 (6066) ფასი: 30 თეთრი

19 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
სულხან-საბა ორბელიანი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




# ირაკლი ღარიბაშვილი: „საპატიმროში ყოფნისას თამაზ თამაზაშვილის მოწამვლა რამდენჯერმე სცადეს“



გვ.3

26 მაისის დარბევაში ვინც მონაწილეობდა, ყველა დაისჯება

## მიენიჭება თუ არა სომხურ ენას რეგიონული ენის სტატუსი

გვ.5

რას სთავაზობს მერაბიშვილი მეოცნებეებს



## გიორგი მარგველაშვილი: „ბენდუქიძე ცდილობს, პოლიტიკური დევნილის სტატუსი შეინარჩუნოს“

გვ.4



გვ.2

## სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილს მთავრობის დათხოვნა არ გადაუფიქრებია“





## აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა

გვ.6

## მალხაზ თოფურია: „ვანო მერაბიშვილს, იგორ როდიონოვის მსგავსად, რუსთაველზე აქციის ჩატარების უფლება არა აქვს“

გვ.5



15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**6** „იპოთეკის ყველა ხელშეკრულებას კრიმინალის სუნი ასდის“

**2** ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია პირველი აპრილიდან დაიწყება

**4** ელჩების დანიშვნას პრეზიდენტმა ხელი მოაწერა

**3** ნინო ჩხობაძე: „არსებობს დიდი საფრთხე, რომ მეწყერი ჩამოწვეს და ქვეშ მთლიანი ჰიდროელექტროსადგური მოიქციოს“

# სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილს მთავრობის დათხოვნა არ გადაუფიქრებია“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

***— ბატონო სანდრო, პოლიტიკურად დატვირთული კვირა გველის წინ. პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას იწყებს და თქვენი აზრით, ეს რამდენად მხარდაჭერილი იქნება უმცირესობის მხრიდან?***

— მთლიანად უმცირესობის მხრიდან არ უნდა იყოს მხარდაჭერილი, მაგრამ ვერც იმას ვერ გამოვრიცხავ, რომ ბოლო წამში გადაწყვეტილება მიიღოს ნაციონალურმა მოძრაობამ და მხარი დაუჭირონ ცვლილებებს. ნაციონალური მოძრაობა ამ ცვლილებებით ფაქტობრივად გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდა, იმიტომ, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები იმდენად მისაღებია ქართველებისთვის, ევროპელებისთვის და ზოგადად მსოფლიო თანამეგობრობისთვის, რომ ნაციონალურ მოძრაობას ელემენტარული არგუმენტიც კი არა აქვს, თუ რატომ არ უნდა მიიღონ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები. ჩვენ რომ ვაკვირდებით მიხეილ სააკაშვილს, იგივე მისი გუნდის წევრებს, ისინი ვერ იძახიან ერთ არგუმენტსაც კი იმის სასარგებლოდ, თუ რატომ არ უნდა იყოს კონსტიტუციური ცვლილებები მიღებული. უბრალოდ, როგორც ძველ ეპოქაში იყო ნაციონალური მოძრაობისთვის მიღებული, მათ მოინდომეს ვაჭრობა ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით. ახლა თვალნათელია და მეც პირდაპირ შემიძლია გითხრათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მხარდაჭერის შემთხვევაში მიეღო ე.წ. ინდულგენცია ახალი ხელისუფლებისგან იმის თაობაზე, რომ ნაციონალების წარსულ ცოდვებზე თვალს დახუჭავდნენ. ის პირდაპირ ითხოვდა, რომ ამნისტიის მსგავსი დოკუმენტი მიღებული ყოფილიყო, რომლითაც ნაციონალურ მოძრაობაში თავმოყრილ კაციჭამიებს უნდა მისცემოდათ ხელშეუხებლობის გარანტია. თუმცა ეს ასე არ გამოვიდა, იმიტომ, რომ არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს უფლება სასამართლოს გარეშე ვინმეს მისცეს ხელშეუხებლობის გარანტია, მით უმეტეს, თუ ამ ადამიანებს აქვთ სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულობები ჩადენილი. აქედან გამომდინარე, სააკაშვილმა ამ ვაჭრობით ვერაფერი ვერ მიიღო და ახლა ფაქტობრივად ნაციონალური მოძრაობა ჩავარდნილია გამოუვალ მდგომარეობაში. არ იციან, მხარი დაუჭირონ კანონპროექტს და ისინი ამ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან და სააკაშვილი აბსოლუტურად უუფლებო რჩება. ხოლო არ დაუჭირონ მხარი და მაშინ მოსახლეობის აგრესია, საერთაშორისო თანამეგობრობის აგრესია სახეზე იქნება და ასევე არ ექნებათ მათ არგუმენტი, თუ რატომ არ დაუჭირეს საკონსტიტუციო ცვლილებების მხარი. ამიტომ დღეს ნაცმოძრაობა ძალიან რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი კედელთან არიან მიყენებულები და მე არ ვიცი, თუ რას მოიმოქმედებენ ამ შემთხვევაში.



***— გიჭირთ პროგნოზის გაკეთება?***

— საერთოდ, ადვილია ისეთი პოლიტიკოსების და პოლიტიკური ძალის მოქმედებების განსაზღვრა, რომლებიც კონკრეტულ ნორმებში და ჩარჩოებში ეტევიან. ხოლო არანორმალური და სპონტანური პოლიტიკოსების ქმედებების განსაზღვრა, ისევე როგორც გიჟის ქმედებების განსაზღვრა, შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ნაცმოძრაობის ლიდერს და მის ელიტას ნამდვილად შევადარებდი გიჟებს. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მიღებული იქნება, იმიტომ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ძალიან ბევრი მედროვეა და ალბათ, ეს ყვარყვარეები მიცემენ ხმას საკონსტიტუციო ცვლილებებს და ამითი შეეცდებიან პირადი ცხოვრების გადარჩენას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში სააკაშვილი და მისი გუნდი აბსოლუტურად უუფლებოდ რჩება, რაც მისალოცი იქნება საქართველოს მოსახლეობისათვის.

***— რამდენიმე დღის წინ ირაკლი ოქრუაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ თუკი ეს ცვლილებები არ იქნება მიღებული სააკაშვილი ძალოვან მინისტრებს დაითხოვსო. რამდენად რეალურია ეს განცხადება და საიდან ფლობს ამ ინფორმაციებს ოქრუაშვილი?***

— მე ახლა იმას ვერ გეტყვით, ბატონ ოქრუაშვილს საიდან აქვს ეს ინფორმაციები, მაგრამ მე აღვნიშნე კიდევაც, რომ არანორმალური ადამიანების ქმედებები ძნელად განსასაზღვრია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ სააკაშვილმა ეს ქმედება განახორციელოს და არ დაგიმალავთ, რომ ეს საშიშროება არსებობს. თუმცა, მეორე მხრივ, გინდაც დაითხოვოს ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, გინდაც გადააყენოს სააკაშვილმა მთავრობა, მე არ ვფიქრობ, რომ ამას მისთვის ან ნაციონალური მოძრაობისთვის რაიმე პოზიტიური შედეგი მოჰყვება. მე პირიქით, მომხრე ვარ, რომ სააკაშვილმა დაშალოს პარლამენტი და ამ დაშლილი პარლამენტის ფონზე დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ვერ გადალახავს 5%-იან ბარიერს. მას შეიძლება ისეთმა წვრილმა პოლიტიკურმა პარტიებმა აჯობონ, რომლებიც 5%-იან ბარიერს ვერც უახლოვდებიან. ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის სანაგვეზე წასვლის ბოლო ეტაპი და ისინი აღმოჩნდებიან პოლიტიკურ სანაგვეზე. თუ სააკაშვილმა ძალოვანი მინისტრები დაითხოვა, მთავრობა გადააყენა, პარლამენტი დაშალა, საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღო და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ქვეყანაში სამხედრო დიქტატურის დამყარება მოინდომა, ეს სხვა ამბავია. სააკაშვილისგან, რა თქმა უნდა, ეს არ არის გამორიცხული, მაგრამ ის არ არის იმდენად გულადი ადამიანი, რომ ეს ნაბიჯი გადადგას.

***— ალბათ, მხარდაჭერილიც არ იქნება ეს დასავლეთის მხრიდან...***

— მთელი ამდენი ხნის განმავლობაში სააკაშვილი და მისი გუნდი დასავლეთში მუშაობდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის გულისთვის, რომ მოეხდინა ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია და ამით მიეღო ნებართვა იმის თაობაზე, რომ აქ რაღაც ქმედებები განეხორციელებინათ. ეს შეიძლება რაღაც ეტაპზე გამოუვიდათ ვილაცასთან, ევროპის სახალხო პარტიასთან და კიდევ სხვებთან, მაგრამ ესეც მასობრივად ვერ გამოუვათ და აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ სააკაშვილი ვერაფერს ვერ იზამს. ესენი არიან პუტჩისტები და პუტჩისტების სულიერი შვილები. საბედნიეროდ, დღეს ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე 90-იან წლების დასაწყისში. დღეს ბევრად უფრო ძნელია მსოფლიოს თვალში ნაცარი შეაყარო, როგორც თავის დროზე სიგუამ კიტოვანმა და ამ პუტჩისტებმა შეაყარეს მსოფლიოს თვალში ნაცარი იმისათვის, რომ მათ სამხედრო გადატრიალება მოეხდინათ. ახლა აღარ არის ის დრო და ეს ფაფხური არაფრის მომტანი არ იქნება.

***— ბოლო პერიოდში მათ მხოლოდ ევროპის სახალხო პარტია ლობირებს...***

— რა თქმა უნდა, ევროპის სახალხო პარტია, ეს ის პარტიაა, რომელიც წლების განმავლობაში დაკავშირებული იყო სააკაშვილთან და მის ხელისუფლებასთან. ისმის ხმები იმის თაობაზეც, რომ ეს მარტო პოლიტიკური კავშირი არ იყო და ეს იყო ეკონომიური კავშირიც. მე ვიცი ბევრი უცხოელი ე.წ. ექსპერტი, პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი, დიპლომატი, რომელიც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებისაგან იკვებებოდა და სააკაშვილის მთავრობასთან კორუფციულ გარიგებაში იყო შესული. ზოგიც ბიზნესსაქმიანობაში იყო ჩართული საქართველოს ტერიტორიაზე და ისინი იკვებებოდნენ სააკაშვილის ხელისუფლების ხელიდან. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ერიდებიან ფინანსური გავლენის დაკარგვას და მეორეც მე ვიცი, რომ დაშანტაჟებულები არიან ნაციონალების მხრიდან, რომ თუ არ დაუჭერენ მხარს, მაშინ ისინი გამოამზეურებენ იმ ფინანსურ გარიგებას, რომელი გარიგებაც თავის დროზე მათ განახორციელეს საქართველოს ტერიტორიაზე, რაც რა თქმა უნდა მათი პოლიტიკური თუ დიპლომატიური კარიერისთვის დამღუპველი იქნება. ეს ადამიანები ერთგვარი შანტაჟის ქვეშ არიან და რა თქმა უნდა ისინი ბოლომდე იქნებიან ამ სისხლიანი რეჟიმის დამცველები. დღეს ახალი ხელისუფლების ყველა ნაბიჯი არის სწორი, ზუსტად გათვლილი და მე არა მგონია, რომ ქვეყანას რაიმე საშიშროება შეექმნას. საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ კი ნაციონალური მოძრაობა წავა პოლიტიკურ სანაგვეზე. აი, ეს არის ყველაზე მთავარი და ყველაზე გადამწყვეტი და ვერანაირი მოსყიდული და დასპონსორებული უცხოელები მათ ვერ უშველიან.

***— მათ აღარ აქვთ დასავლეთის მხარდაჭერის იმედი და მხარს თუ დაუჭერენ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იქნება...***

— რა თქმა უნდა დასავლეთის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხელისუფლებისთვის, მაგრამ არც დასავლეთის და არც აღმოსავლეთის ნება გადამწყვეტი არ არის, გადამწყვეტი არის საქართველოს მოსახლეობის და ქართველი ერის ნება. ჩვენს მოსახლეობას კი წითელი ბარათი აქვს ამოღებული ნაციონალური მოძრაობისთვის და ისინი პოლიტიკური მოედნიდან გაძევებულები არიან. სააკაშვილმა რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ეს ვეღარ უშველის. შეიძლება წავიდეს პროვოკაციაზე, მაგრამ ეს იქნება ერთკვირიანი ან ათდღიანი პროვოკაცია. ქართველი ხალხის მრისხანებას ამ შემთხვევაში წინ ვერაფერი დაუდგება. პირსისხლიან ჯალათებს უკან არავინ დააბრუნებს. ყველამ კარგად ვიცით, 9 წელი როგორ საქართველოშიც ვიცხოვრეთ. ამას წინათ ერთ-ერთ ბიზნესმენს ვესაუბრებოდი და პირველი ოქტომბრის შემდეგ გულიანად პირველად გავიცინეო. მთელი ამდენი ხნის განმავლობაში შიშში ვიყავიო. რა თქმა უნდა ამ შიშში და უბედურებაში არავის აღარ უნდა ცხოვრება. შეძლებულია, ადამიანები კარგ და ძვირადღირებულ მანქანებს მალავდნენ, ისევე როგორც მხედრიონის დროს. ძლივს მოითქვა ამ ხალხმა სული, ქუჩაში თამამად გამოვიდნენ, მათ აღარავინ ემუქრება. სააკაშვილის რეჟიმს ყველა სფეროში ჰქონდა გადგმული ფესვები და მიმდინარეობდა მუდმივი ტერორი. ჩვენ დიდი საშინელება გადავიტანეთ. ამ დანაშაულებრივ ძალას ნამდვილად არ უნდა ეკავოს ოპოზიციის ადგილი, ისინი უნდა გასამართლდნენ იმ ბოროტებისთვის, რაც ამ წლების მანძილზე ჩაიდინეს.

***— გამოდის, რომ აპრილში სერიოზულ ექსცესებს აღარ უნდა ველოდეთ?***

— წესით, რიგით და ლოგიკით, ჩვენ აპრილში არანაირ ექსცესებს არ უნდა ველოდეთ, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ნორმალურ პოლიტიკურ ძალასთან და ნორმალურ ადამიანებთან. დღეს ჩვენ საქმე გვაქვს არანორმალურებთან, ფსიქიკურად შეშლილ ხალხთან გვაქვს საქმე. ფსიქიკურად შეშლილი ხალხი კი რას მოიმოქმედებს, ამის განსაზღვრა თვით ფსიქიატრებსაც კი არ შეუძლიათ. ეს შიზოფრენია მათ განუვითარდათ იმის ნიადაგზე, რომ თანამდებობა დაკარგეს. ასე რომ, ამ შემთხვევაში პროგნოზი რთული გასაკეთებელი იქნება. ერთი რამ კი ცხადია, სააკაშვილმა რაც უნდა გააკეთოს, ის ქართველი ერის წინაშე 100%-ით დამარცხდება.

## ვალეს საბაჟოზე კარტოფილის ჩრჩილით დაავადებული კარტოფილი დააკავეს

17 მარტს, ვალეს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, ირანის ისლამური რესპუბლიკიდან, 24000 კგ კარტოფილით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტის ფიტოსანიტარი ოფიცრის მიერ, ფიტოსანიტარული სასაზღვრო პროცედურების განხორციელებისას, ტვირთში კარტოფილის საკარანტინო მავნებლი კარტოფილის ჩრჩილი გამოვლინდა.

საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდა.

მედიანიუსი

## ირაკლი ალასანია ილჰამ ალიევს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფება.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ალასანიამ შეხვედრები აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან და აზერბაიჯანელ კოლეგასთან, გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევთან უკვე გამართა. როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტთან შეხვედრაზე ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, საქართველოს დღევანდელი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებაა, რაც რეგიონში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს. პრესსამსახურის ინფორმაციითვე, საქართველოსა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრებმა კი შეხვედრისას, 2013 წლის ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისა და ავღანეთის საერთაშორისო მისიაში ქართული და აზერბაიჯანული კონტინგენტების მონაწილეობის საკითხები. თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელებმა პოსტ-აისაფის პერიოდში, ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების დახმარებაზეც ისაუბრეს. გუშინვე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის წევრებმა, აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალირზა ოღლი ალიევის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

თავდაცვის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 19 მარტს დასრულდება.

მედიანიუსი

## ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია პირველი აპრილიდან დაიწყება

გამოცდების ეროვნული ცენტრი აცნობებს აბიტურიენტებს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაციის პროცესის დაწყება პირველი აპრილიდან იგეგმება. დაზუსტებული თარიღი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. რეგისტრაციის დაწყებამდე გამოქვეყნდება ცნობარი, რომლითაც მონაწილეებმა უნდა იხელმძღვანელონ არჩევანის გაკეთებისას.

როგორც ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ცენტრი არწმუნებს ყველა აბიტურიენტს, რომ მათ საკმარისი დრო ექნებათ რეგისტრაციისათვის, რაც, გარდა პირადი ინფორმაციისა, ჩასაბარებელი გამოცდების მითითებას, აგრეთვე საგამოცდო ქალაქისა და გამოცდის ენის არჩევას ითვალისწინებს. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, 2013 წლიდან ჩამონათვალში ცვლილების შეტანა კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში (სააპელაციო განაცხადების განხილვამდე) იქნება შესაძლებელი.

2013 წლის გამოცდებისათვის აპლიკანტები რეგისტრაციას ელექტრონულად, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) გაივლიან.

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის რეგისტრაცია 28 თებერვალს დასრულდა. წელს სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის სურვილი 25 ათასზე მეტმა აპლიკანტმა გამოთქვა.

მედიანიუსი

## ქვემო ქართლის მუსლიმანი მოსახლეობა შეიხის შეცვლას ითხოვს

ქვემო ქართლის მუსლიმანი მოსახლეობა საქართველოს მთავარი შეიხის, ვაგიფ აქპეროვის შეცვლას ითხოვს.

როგორც გუშინ გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ქვემო ქართლის ახუნდებმა განაცხადეს, ისინი დახმარებისათვის საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართავენ.

მათი განცხადებით, ექვსი თვის წინ საქართველოში მცხოვრები სასულიერო პირების ნაწილმა ახალ შეიხად მირჰუსეინ ასადოვი აირჩია, თუმცა ძველი შეიხი ვაგიფ აქპეროვი გადადგომას არ აპირებს. მათ აღნიშნული მოთხოვნით მარნეულსა და გარდაბანში მეჩეთებთან აქციებიც გამართეს, თუმცა უშედეგოდ.

„ამჟამად სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამართველოს ხელმძღვანელი ვაქბერ აქპიროვი შორს არის რელიგიური ღირებულებებისგან და აქედან გამომდინარე, არ აქვს უფლება უძღვებოდეს სამმართველოს. მითუმეტეს მაშინ, როდესაც მუსლიმებმა თავიანთი შეიხი აირჩიეს“,— განაცხადა ახუნდმა მუჰამედ შამილოვმა.

ახუნდები აცხადებენ, რომ მათი სურვილია ქვეყანაში იყოს მშვიდობა და აქ სხვა ქვეყნის ინტერესები არ ხორციელდებოდეს. ისინი წინააღმდეგნი არიან სეპარატიზმისა და ტერორიზმისა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საპატიმროში ყოფნისას თამაზ თამაზაშვილის მოწამვლა რამდენჯერმე სცადეს“

შორენა გონგლაძე

გუშინ საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტს ესტუმრა. ის საკანონმდებლო ორგანოში უმცირესობის მოთხოვნით მივიდა. ალბათ, გახსოვთ, რამდენჯერ მოითხოვა წარსულში ოპოზიციამ პარლამენტში ვანო მერაბიშვილის მისვლა. მერაბიშვილმა უმცირესობას თავი არ გაუყადრა. ირაკლი ღარიბაშვილი კი პირველივე დაძახილზე მივიდა.

ღარიბაშვილის დასახვედრად ნაცმოძი კარგად მოემზადა. ისინი ცდილობდნენ, კაცი წყობილებიდან გამოეყვანათ. ღარიბაშვილი საკმაოდ კარგად უმკლავდებოდა უმცირესობის შემოტევებს და კახური იუმორითაც ამარაგებდა მათ. მას დეპუტატი ირმა ნადირაშვილი ჩააცივდა, რატომ დაასაქმე შენი ცოლის ნათესავები შსს-შიო. ამაზე ღარიბაშვილმა მშვიდად უპასუხა, როდის იყო, ცოლის ნათესავი ნათესავად ითვლებოდაო.

ღარიბაშვილმა პარლამენტში, უმცირესობასთან გამართულ შეხვედრაზე, 8 თებერვლის ინციდენტის შესახებ კომენტარი გააკეთა. მისი განცხადებით, 8 თებერვალს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან მათ არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონიათ.

— იქ მომხდარი ძალადობა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. ხოლო რაც შეეხება რეალობას, რეალობა ის იყო, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან ჩვენ არანაირი კომუნიკაცია არ გვქონდა. როდესაც პრეზიდენტი, ქვეყნის პირველი პირი, ბიბლიოთეკის შენობაში მისვლას აპირებდა, უნდა ყოფილიყო თუ არა, მინიმუმ წინა დღეს, შედგენილი უსაფრთხოების ერთჯერადი გეგმა, რომელიც ჩვენთან შეთანხმებული იქნებოდა. ჩვენთან დაცვის სამსახურიდან შეტყობინება შემოვიდა, რომ მათ რამდენიმე თანამშრომელი და ორი ეკიპაჟი ესაჭიროებათ, ხოლო ადგილზე როდესაც მივიდნენ, შენობა უკვე დემონსტრანტებით იყო სავსე. როდესაც იქ პრეზიდენტი აპირებდა მისვლას, რატომ არ იყო შენობა დაკეტილი ან დალუქული? ჩვენ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ხელოვნური ბარიერების გაკეთება შევძელით. იქ რომ ყველაფერი წინასწარ ყოფილიყო დაგეგმილი, პროვოკაციებს და შეხლა-შემოხლას თავიდან ავიცილებდით, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მინისტრი პირობას იძლევა, რომ საქართველოში, ძალოვნების მიერ იარაღის და ნარკოტიკების ჩადება აღარ მოხდება და ეს, ნაციონალური ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა იყო. აღნიშნული განცხადება მინისტრმა პარლამენტში, უმცირესობასთან შეხვედრის დროს, თენგიზ გუნავას შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას გააკეთა.

— ოფიციალური ვერსია რაც მე მაქვს და რაც ჩემი თანამშრომლებისგან მოვისმინე არის ის, რომ თენგიზ გუნავა დაკავების მომენტში ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და მას იარაღი აღმოაჩნდა. როგორც ცნობილია, სამინისტროსგან საქმე პროკურატურაში წავიდა, რომელმაც ის გამოსაძიებლად იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადასცა. მე არ დაველოდე ინსპექციის დასკვნას და პარალელურად, ჩვენს გენერალურ ინსპექციასაც დავავალე ამ საკითხის გამოძიება. სამინისტროს გენინსპექციის დასკვნით, არ დადასტურდა, რომ გუნავას დაკავების მომენტში იარაღი ჩაუდეს ან ნარკოტიკი დაალევინეს, მაგრამ გამოიკვეთა პროცედურული დარღვევები და მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ის ხუთი თანამშრომელი და მათი ხელმძღვანელი პირი, რომელიც გუნავას დაკავების საქმეში იყო ჩართული, სამინისტროდან დამეთხოვა. ამის შემდეგ დაიდო იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციის დასკვნა, რომელიც ჩვენი დასკვნის იდენტური იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მინისტრის რეაგირება აბსოლუტურად ადეკვატური იყო. როდესაც რეაგირებაზე საუბრობთ, მე მინდა ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი შეგახსენოთ, რომ ჩემი ოჯახიც სწორედ ასეთი მოპყრობის მსხვერპლია. ჩემი ოჯახის წევრი თქვენმა ხელისუფლებამ ასეთი აბსურდული ბრალდებით დააკავა და ის ერთი წელი ციხეში აბსოლუტურად ტყუილად იჯდა. იარაღის და ნარკოტიკის ჩადება სწორედ თქვენ მიერ დამკვიდრებული მანკიერი სტილი იყო, — განაცხადა მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას თავის სიმამრზე თამაზ თამაზაშვილზეც ისაუბრა. მინისტრის განცხადებით, მისი სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის მოწამვლა, იმ პერიოდში, როცა ის ციხეში იჯდა, რამდენჯერმე სცადეს და ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

— ადამიანს გულის შეტევა დაემართა და მორგში ჩაიყვანეს, ამის თვითმხილველები არსებობენ და ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ იქ მუშაობს. შემდეგ ის მომაკვდავ პიროვნებასთან გადაიყვანეს და აყურებინეს, როგორ გარდაიცვალა მომაკვდავი პატიმარი. ამ საკითხთან დაკავშირებით მოწმეები უკვე დაკითხულია, — ამბობს მინისტრი.

ღარიბაშვილმა სამინისტროში ნათესავების დანიშვნაზეც ისაუბრა. გაირკვა, რომ შსს-ში ნაციონალების ნათესავებიც მუშაობდნენ.

— გარდა აკაკი მინაშვილის დისა, სამინისტროში მუშაობს მისი მეუღლეც, ასევე თინა ბურჯალიანის და, გურამ დონაძის და, ვასილ სანოძის დეიდაშვილი, შოთა ხიზანიშვილის მთელი სანათესაო, ხატია დეკანოიძის მამა, ხოლო თქვენი მეუღლე გამგებლის თანამდებობას იკავებს, — მიმართა მინისტრმა უმცირესობის წევრს ირმა ნადირაშვილს.

რაც შეეხება შეკითხვას, სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად, თავისი მეუღლის ნათესავის — ზვიად ჯანყარაშვილის დანიშვნის შესახებ, მინისტრმა განაცხადა, რომ ის ამ თანამდებობაზე ძალიან კარგად მუშაობს და ის ფაქტორი, რომ ჯანყარაშვილი მას ნათესავად ეკუთვნის, მისი კარიერული წინსვლის შემაფერხებელი ფაქტორი არ უნდა გახდეს.

— მე ის არ შემირჩევია იმიტომ, რომ ჩემი ნათესავია, იმიტომ შევარჩიე, რომ ძალიან კარგი მენეჯერი და კარგი შემსრულებელია, — განაცხადა ღარიბაშვილმა.



26 მაისის დარბევაში ვინც მონაწილეობდა, ყველა დაისჯება

შს მინისტრმა 26 მაისის დარბევაზეც ისაუბრა და დამნაშავეების დასჯის პირობა დადო. მისი ეს განცხადება ნაციონალებს ნამდვილად არ გახარებიათ.

— აუცილებლად ყველა დაისჯება, მათ შორის დავალების მიმცემებიც, ვინც 26 მაისის ამბებში მიიღო მონაწილეობა. დაარქვით სახელი, რა იყო 26 მაისი, რა ხდებოდა ქალაქის სამმართველოს შენობასთან და რა ხდებოდა ციხეებში. სწორედ თქვენი ხელისუფლების დამსახურებაა ის, რაც ციხეებში ხდებოდა და სწორედ თქვენ მოაწყვეთ 26 მაისი, — განუცხადა ღარიბაშვილმა უმცირესობის წევრებს.

უმცირესობასთან შეხვედრის დროს, ღარიბაშვილმა ისიც თქვა რომ ნაციონალური მოძრაობა საზოგადოებაში ნეგატიურ განწყობას ქმნის და ცდილობს მოსახლეობას ყველაფერი მუქ ფერებში დაანახოს.

მისივე განცხადებით, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2013 წელს დანაშაულთა ჩადენის რიცხვმა შედარებით იკლო.

— ქვეყანაში მართლაც უპრეცედენტო ამნისტია განხორციელდა და ციხიდან დაახლოებით 8 000 ადამიანი გამოვიდა. ამას დაემატა პრეზიდენტის მიერ შეწყალებული დაახლოებით 2 000-ზე მეტი პატიმარი. მათ შორის არიან მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები ეს იქნება მკვლელობა თუ ყაჩაღობა. ნეგატიური ფონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი არის თქვენ მიერ გაკეთებული განცხადებები, რათა კიდევ უფრო დაძაბოთ საზოგადოება და მუქი ფერებით აჩვენოთ, რომ საქართველოში რაღაც საშინელება ხდება. ძალიან მალე ჩვენ გვექნება საშუალება, მივიღოთ რეალური სტატისტიკური მონაცემები და ძალიან მალე ვაჩვენებთ საზოგადოებას, რა სურათია კრიმინოგენური მდგომარეობის მხრივ. თვის ბოლოდან ჩვენ საზოგადოებისთვის სტატისტიკური მონაცემების სისტემატურად მიწოდებას დავიწყებთ. რეალურად საქართველოში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება და მინდა ყველას მოგიწოდოთ, უმცირესობას, უმრავლესობას თუ სხვა ნებისმიერ მოქალაქეს, — როდესაც არ გაქვს რეალური ფაქტები და არ იცნობთ რეალურ სტატისტიკას, გთხოვთ, მოსახლეობას კიდევ უფრო ნუ დავძაბავთ, — განაცხადა მინისტრმა.

ნაციონალები, როგორც მოსალოდნელი იყო, მინისტრის პასუხებით უკმაყოფილო დარჩნენ. მათგან კმაყოფილებას არც არავინ ელოდა. მთავარი ის არის, რომ შს მინისტრი ოპოზიციის მოთხოვნით პარლამენტში მივიდა.

მასალა მომზადებულია სააგენტო „ნიუსპრესის“ ინფორმაციების მიხედვით.

# ნინო ჩხობაძე: „არსებობს დიდი საფრთხე, რომ მეწყერი ჩამოწვეს და ქვეშ მთლიანი ჰიდროელექტროსადგური მოიქციოს“

დარიალის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების აშენების შედეგად, პროექტის თანახმად, მდინარე თერგი გვირაბში უნდა მოექცეს. ყაზბეგის რაიონში, ხდისა და თერგის ხეობაში დაგეგმილი ჰესების მშენებლობას საზოგადოებაში ნეგატიური რეაქცია მოჰყვა.

„ნიუსპრესი“ ამ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები- საქართველო“-ს თანათავმჯდომარეს ნინო ჩხობაძეს ესაუბრება.

***— ქალბატონო ნინო, რა საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს ხდის ხეობა ჰესის აშენების შედეგად?***

— მოდით დავიწყოთ იქედან, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის კანონმდებლობიდან გამომდინარე, ხდის ხეობა უნიკალურ ხეობათა რიცხვში, წითელ წიგნში იყო შეტანილი. დაცვითი ღონისძიებების ახალი კანონის მიხედვით კი, ხეობა ბუნების ძეგლების ნუსხიდან ამოვარდა. ჰესების აშენების პრობლემა იმაშია, რომ წყლით მდიდარ ბუნებაში, ამან შეიძლება წყლის ნაკლებობა გამოიწვიოს და ის უნიკალურობა რაც ამ ხეობას გააჩნია, სრულად დაიკარგოს. სამინისტროს მოწოდებაზე, იქნებ გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიში განიხილოთ და თქვენი წინადადებები მოგვაწოდოთო, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრების“ კომენტარი ძალიან მოკლე იყო. ჩვენ ვთვლით, რომ გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიში ძალიან სუსტადაა გაკეთებული. ჰიდროელექტროსადგურის ასეთი განლაგება ამ ტერიტოტიაზე, ყოვლად დაუშვებელია, რადგან ერთ დღეს შეიძლება მეწყერი ჩამოწვეს და ქვეშ მთლიანი სადგური მოიქციოს. გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ ასახავს იმ რეალობას, რაც სინამდვილეში არის ხეობაში და ის ზერელედაა გაკეთებული. მეტსაც გეტყვით, აღმოჩნდა, რომ ანგარიშში იმ მცენარეების სახეობები აღწერილიც კი არ არის, რა სახეობებიც ამ ხეობაში ხარობს. რაც შეეხება „დარიალ ჰესს,“ სამწუხაროდ, მასთან დაკავშირებით ნებართვა უკვე გაცემულია. არადა აქ პრობლემა უფრო სერიოზულად დგას იმ თვალსაზრისით, რომ მდინარე თერგის ძალიან დიდი მონაკვეთი მიწის ქვეშ, გვირაბში უნდა მოექცეს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჰიდროლოგი ამტკიცებს, რომ წყალი იქნება და მოსახლეობა თერგის წყალს მართალია შემცირებული ვარიანტით, მაგრამ მაინც დაინახავს, ჩვენ ვთვლით, რომ უნდა ჩატარდეს სერიოზული მონიტორინგი. ბევრ ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებით, წყლის რეჟიმები უცნობია და წლების განმავლობაში არ წარმოებდა მათზე დაკვირვებები, არავინ არ იცის რა რაოდენობით წყალი ჩამოდის დღეს. პროექტირება კი იმ მონაცემებით ხდება, რომლებიც 20-30 წლის წინ არის ჩატარებული. უნდა დააკვირდნენ რეჟიმს, პროექტი მაქსიმალურად უნდა გაუმჯობესდეს და ინვესტორმაც დაგვარწმუნოს იმაში, რომ წყალს მდინარეში დატოვებენ.

***— რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ამ ჰესების მშენებლობა?***

— ენერგეტიკის მინისტრს ყველაფერი ის, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, მემკვიდრეობით დახვდა. გვარწმუნებდნენ, რომ ელექტროენერგია ექსპორტზე უნდა გავიტანოთო. ბევრი ენერგეტიკოსი ამტკიცებს, რომ სიმძლავრეები არ გვყოფნის და პოტენციალის ზრდა აუცილებელიაო, მაგრამ რამდენად სჭირდება ასეთი ელექტროენერგია საქართველოს ეკონომიკას, არავინ არ იცის. ამას თავიდან ენერგეტიკოსები კი არა, ეკონომისტები უნდა ითვლიდნენ, შემდეგ კი ენერგეტიკოსებმა და მათ შემდეგ გარემოს დაცვითმა ორგანიზაციებმა უნდა განვსაზღვროთ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პროექტი, რათა გარემო ნაკლებად დაზიანდეს.

***— ენერგეტიკის სამინისტრო ყაზბეგში ჰესების მშენებლობას იმით ამართლებს, რომ იქ ამისთვის ხელსაყრელი ადგილია. არის თუ არა ეს თქვენი აზრით საფუძვლიანი არგუმენტი?***

— ნებისმიერი ჰესის რაც აშენდა და რაზეც ხელი უკვე მოწერილია, შეთანხმების უკან დაბრუნება ძნელია, რადგან სახელმწიფოს კერძო ინვესტორებთან დადებულ ხელშეკრულებებზე გარკვეული პასუხისმგებლობა გააჩნია, თუმცა მათი გაუმჯობესება და მონიტორინგი ნამდვილად შეიძლება. რაც მთავარია, სადაც ჯერ მშენებლობა არ დაწყებულა, მაგალითად ხდის ხეობაში, ამის გადახედვა შეიძლება. „დარიალი ჰესზე“ ვეღარაფერს შევცვლით, იქ ძირითადი ნაგებობები უკვე აშენებულია. „დარიალ ჰესთან“ დაკავშირებით, დღეს, მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელია სერიოზული მონიტორინგი და ინსპექტირება ჩატარდეს, რათა მიზნობრივად შესრულდეს ყველა ის პირობა, რა პირობითაც მშენებლებს თანხმობა მიეცათ. რაც შეეხება ხდის ხეობას, იქ უნდა გაკეთდეს თავდაპირველად დაკვირვება წყლის რეჟიმთან დაკავშირებით, კარგად იქნას შესწავლილი ხეობა, რეალურად აისახოს სიტუაცია და ფონური მასალა უნდა დაიდოს რეალურად და არა ზერელედ, ლიტერატურული მიმოხილვით. სწორედ ამის შემდეგ კი უნდა დავამტკიცოთ შეიძლება თუ არა იქ ჰესის აშენება. საერთოდ კი, რა სჯობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა თუ მეცხოველეობის განვითარება, არავინ იცის, რადგან ეს საკითხები არავის შეუდარებია. ამიტომ ყველა ხეობასთან და ყველა მდინარესთან დაკავშირებით უნდა მოხდეს შეფასება, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია. ეს პროექტები დიდ ეკონომიკურ მოგებას არც ხეობას და არცთ თვითონ მუნიციპალიტეტს არ მოუტანს.

***— თქვენი აზრით, ღირს თუ არა დაზიანებული ბუნების სანაცვლოდ ელექტროენერგიის მიღება?***

— დღესდღეობით ყაზბეგში ელექტროენერგიის პრობლემა რეალურად არის და მოსახლეობას ზედმეტი, ადგილობრივი წყარო ნამდვილად ესაჭიროება, თუმცა, მოდით გარემოსთან ნუ ვიჩხუბებთ და ისე გავაკეთოთ, რომ ჩვენი ნამოქმედარი ბუნებამ უკან არ დაგვიბრუნოს. არ არის გამორიცხული, რომ თუნდაც ბროლის წყალი, რომელიც ძალიან წყნარი მოდის, ხვალ ძალიან ადიდდეს და ყველაფერი რაც აშენდება, უეცრად დაანგრიოს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა დაითვალოს რამდენ ელექტროენერგიას მივიღებთ და რის საფასურად. ეს ყველაფერი დეტალურად უნდა შეფასდეს. დეტალურად უნდა შეფასდეს თუ რატომ ვაოხრებთ ბუნებას და მდინარეებს, უნდა შეფასდეს ისტორიული და სასოფლო სამეურნეო ღირებულება, უნდა შეფასდეს რისკი, რომ ხომ არ გამოიწვევს ეს მოსახლეობის აყრას და ასე შემდეგ.

***— რამდენად იყო ჩართული გარემოსდაცვითი ორგანიზაციები პროექტის განხილვაში და იქნა თუ არა მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული?***

— „დარიალ ჰესის“ პროექტთან დაკავშირებით, რამდენიმე ორგანიზაციამ, მათ შორის ჩვენც, ჯერ კიდევ ნებართვის გაცემამდე დასვა საკითხი თუ რატომ აძლევდნენ ამ ნებართვას. გარემოს დაცვის სამინისტროში ერთი თვე ჰქონდათ ჩემი წერილი და რამდენიმე შეხსენების შემდეგ გამომიგზავნეს პასუხი, რომ - ჩვენ გუშინ უკვე გავეცით ნებართვა და შესაბამისად ეს უკვე უკანონო მშენებლობა აღარ არისო. ყოფილ გარემოს დაცვის მინისტრს და მის მოადგილეს პირდაპირ ეთერში დავუსვი კითხვა - რას აპირებს სამინისტრო, „დარიალ ჰესის“ უკანონოდ დაწყებულ მშენებლობაზე და რატომ არ რეაგირებთ მეთქი და პასუხი ვერ გამცეს. სამწუხაროდ, განხილვებში აქტიურად არ იყო ჩართული არც მოსახლეობა და არც გარემოს დაცვითი ორგანიზაციები. გარემოს ზემოქმედების შეფასების ანგარიში ზუსტად იმისთვის კეთდება, განისაზღვროს თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ჰესის მშენებლობა ბუნებაზე. ანგარიშში უნდა ჩანდეს და ექსპერტების მიერ მკაფიო რეკომენდაციები უნდა იყოს გაცემული, თუ როგორ უნდა შეარბილოს მშენებელმა გარემოზე ზემოქმედება. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცედურა 7-8 ეტაპს მოიცავს, ჩვენთან კი ის მხოლოდ 1 ეტაპიანია. ეს ერთი ეტაპიც იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებასთან ხდება ფორმალური განხილვები და როგორც წესი, ის კომპენსაციის მიღების საკითხით მთავრდება.

***— როგორც თქვენ აღნიშნეთ, ხდის ხეობაში, შპს „ყაზბეგი ჰესს“ მშენებლობის ნებართვა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული, როდესაც იქ სამანქანო გზა გაიყვანა. საინტერესოა, რატომ იყო დარწმუნებული, რომ ნებართვას მიიღებდა?***

— ეს გზა არის მუნიციპალიტეტის მიერ შეკვეთილი და „ყაზბეგი ჰესის“ გაყვანილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო პროცედურები მათ შეასრულეს. გაურკვეველია მუნიციპალიტეტს ვისთან მიჰყავდა გზა, რადგან ზემოთ მხოლოდ საძოვრებია. ადგილობრივმა თვითმმართველობამაც კი არ ჩათვალა საჭიროდ განეხილა ეს საკითხი. გამოდის, კომპანია აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ ნებართვას მიიღებდა. აღსანიშნავია, რომ ყაზბეგის რაიონში მცენარეული საფარი საკმაოდ მწირია და ამ გზის გაყვანის შედეგად, მცენარეების დიდი რაოდენობა განადგურდა. ზიანი უკვე მიყენებულია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰიდროელექტროსადგური აუცილებლად უნდა აშენდეს. ხდის ხეობასთან დაკავშირებით, რამდენადაც ვიცი პროექტი ჯერ დამტკიცებული არ არის. ჩვენ ვთვლით, რომ ის არც უნდა დამტკიცდეს, სანამ ამ პროექტთან დაკავშირებით სწორი შეფასებები არ გაკეთდება.

ლიკა მეგუთნიშვილი
საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“

# გიორგი მარგველაშვილი: „ბენდუქიძე ცდილობს, პოლიტიკური დევნილის სტატუსი შეინარჩუნოს“

ნათია ხურცილავა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი გუშინ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა. მინისტრმა დიპლომატიური კორპუსი აგრარული უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩააყენა საქმის კურსში.



შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა პრესასთან კომენტარი გააკეთა.

მარგველაშვილის განცხადებით, აგრარული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა ბენდუქიძე პოლიტიკური დევნილის სტატუსს ვერ შეინარჩუნებს.

— დიპლომატიურ კორპუსს მივაწოდე ის ინფორმაცია, რაზეც მთელი კვირაა, ვლაპარაკობ. საუბარი იყო იმის შესახებ, თუ რატომ იყო მიღებული ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილება. საუბარი ასევე შეეხო იმას, რომ აგრარულმა უნივერსიტეტმა გამოასწორა შეცდომები, დარღვევები და მე დავაფიქსირე ჩვენი პოლიტიკური მზაობა, რომ რაც შეიძლება სწრაფად იყოს გავლილი ყველა ის ფორმალური პროცედურა, რაც აგრარული უნივერსიტეტის აკრედიტაციისთვის აუცილებელია. — განაცხადა მარგველაშვილმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კომენტარი სტუდენტების იმ მოთხოვნაზეც გააკეთა, რომლის თანახმად, უნივერსიტეტს ავტორიზაცია უპირობოდ უნდა დაუბრუნდეს, რადგან ავტორიზაციის ხელახალი პროცედურები დროს მოითხოვს.

— ჩვენ ახლა ვართ ცოტა კომიკურ ვითარებაში, როცა აგრარულმა უნივერსიტეტმა გამოასწორა შეცდომები, მინისტრი ამბობს, რომ ეს ძალიან კარგია და ავტორიზაცია მიეცემათ, ისინი კი აცხადებენ, რომ უპირობოდ გაუქმდეს საბჭოს გადაწყვეტილება. უნდათ ავტორიზაცია, თუ უნდათ, პოლიტიკა აირჩიონ. ის მიზეზი, რომ ავტორიზაციის ხელახალი პროცედურების დაწყება ვინმეს ხელს შეუშლის, თითიდან გამოწოვილია, ეს არის ის დეტალები, რომლითაც ბატონი ბენდუქიძე ცდილობს, პოლიტიკური დევნილის სტატუსი შეინარჩუნოს. ვერანაირად ვერ შეინარჩუნებს ამ სტატუსს, თითქოს მას ვილაც პოლიტიკურად დევნის. — განაცხადა მინისტრმა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრისგან ცნობილი გახდა, რომ შეხვედრაზე დიპლომატების მხრიდან ბევრი კითხვა დაისვა.

— როგორც მუშაობდა ქართულ მედიასთან ბენდუქიძე და ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელმაც ეს თემა პოლიტიკურად ააგორა, ზუსტად ისევე იყო ნამუშევარი ჩვენს დიპლომატიურ კორპუსთან, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საჭირო იყო პასუხის გაცემა და დიპლომატებისთვის იმის ჩვენება, რომ ჩვენ კანონის ფარგლებში ვმოქმედებდით. — განაცხადა მარგველაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, აგრარულ უნივერსიტეტს აკრედიტაცია კანონის სრული დაცვით მაქსიმალურად მოკლე ვადებში მიენიჭება.

განათლების სამინისტროში გუშინ გამართულ შეხვედრას დიპლომატიური კორპუსის 15-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა. მათ შორის იტალიის და ლიტვის ელჩები, ასევე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, უნგრეთის ელჩების მოადგილეები და საფრანგეთის, ესტონეთის, რუმინეთის, ნიდერლანდების საელჩოების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე ასევე იყო წარმოდგენილი აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ელენე ჯიბლაძე.

დიპლომატებთან გამართულ შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სამართლიანი არჩევნების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

— ვერ შეინარჩუნებს ამ სტატუსს და ვერც სტუდენტებს პოლიტიკურ მძევლებად. დიდი მადლობა, რომ შეცდომები გამოსწორებულია. ახლა მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოხდეს ავტორიზაციის მინიჭება, თუმცა კანონის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ეს. ბენდუქიძე, ხატია დეკანოიძე, თეა თუთბერიძე ცდილობენ დამარღვევინონ კანონი, რომელსაც მე ვერ დავარღვევ. — ამბობს მარგველაშვილი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეხვედრას ასევე ესწრებოდა კახა კოჟორიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი. კოჟორიძე ამბობს, რომ ამ დრომდე საიას ამ საკითხზე სამართლებრივი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

— ახლაც არ გვაქვს ამ საკითხზე პოზიცია, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოს გადაწყვეტილება არ არსებობს ჯერ. არსებობს მხოლოდ საბჭოს სხდომის ოქმი. შესაბამისად, სწორი სამართლებრივი პასუხის გაცემა, ვფიქრობთ, შეუძლებელია. ჩვენ ეს ინფორმაცია გამოთხოვილი გვაქვს. წმინდა სამართლებრივი არგუმენტაციით გვინდა შემოვიფარგლოთ. თუმცა არ გამოვრიცხავთ, საბჭოს გადაწყვეტილებამდეც დავაფიქსიროთ და ცნობილი გავხადოთ საზოგადოებისთვის ჩვენი პოზიცია. — აცხადებს კოჟორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელი ნინო ლომჯარია, რომელსაც გარკვეული კითხვები აქვს სამინისტროსთან, ასევე იმყოფებოდა შეხვედრაზე განათლების სამინისტროში. ლომჯარიას მიაჩნია, რომ სასამართლო არის ყველაზე ადეკვატური ორგანო, სადაც შეიძლება ფაქტობრივ უზუსტობებზე და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის შესახებ მსჯელობა.

— პირადად მე გავეცანი აგრარული უნივერსიტეტის პოზიციას იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რაც საბჭომ მათ წარუდგინა. გავეცანი მათ მოსაზრებას, რომ საბჭოს გადაწყვეტილება შეიცავს ფაქტების უზუსტობებს. მაგალითად, სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით ისინი აცხადებენ, რომ მათ ჰქონდათ სათანადო აკრედიტაცია აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად. ჩემი შეკითხვები სწორედ ამაზე იყო. ეს საკამათო ფაქტებია ამ დროისთვის. თუმცა, საბოლოო ჯამში, პოზიტიურია ის, რომ უმცირეს ვადებში მიენიჭება ავტორიზაცია უნივერსიტეტს. რაც შეეხება საბჭოს გადაწყვეტილების ბათილობის ცნობის საკითხს, მიმაჩნია, რომ სასამართლო ყველაზე კარგი ორგანოა, სადაც შეიძლება მსჯელობა ბათილობის გადაწყვეტილებაზე და ასევე ფაქტობრივი გარემოებების სისწორის დადგენაზე. — ამბობს ლომჯარია.

მინისტრის განცხადებით, საუბარი ასევე შეეხო განათლების სისტემაში მიმდინარე მოვლენებს.

დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრა გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით გაიმართა.

# კონსტანტინე კუბლაშვილი: „უზენაესი სასამართლო მზად არის, გაიზიაროს საერთო სასამართლოების შესახებ პროექტი“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, უზენაესი სასამართლო მზად არის, გაიზიაროს „საერთო სასამართლოების“ შესახებ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კუბლაშვილმა განაცხადა, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ვარიანტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის წევრები, რომლებთან დაკავშირებით ახალი კანონპროექტის მიხედვით, თანამდებობრივი შეუთავსებლობა არსებობს, უფლებამოსილები იქნებიან, ხელახლა იყარონ კენჭი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობაზე.

„მეორე ცვლილების მიხედვით, ახალი არჩევნების დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩევიან ის მოსამართლეები, რომლებიც ყველაზე მაღალ ხმებს მიიღებენ და მათ შორის



აუცილებლად იქნებიან საბჭოს წევრები, ის მოსამართლეები, რომლებიც იმავდროულად არიან კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარეები და იმავდროულად, შესაძლოა, იყვნენ სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები. მაქსიმუმ სამი ასეთი წევრი ეყოლება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და დანარჩენი ასეთი წევრები იქნებიან რიგითი მოსამართლეები. ეს არის ვარიანტი, რაც ჩვენთან კონსულტაციების შედეგად შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს მიერ. ამ ვარიანტს მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიის დასკვნაც გარკვეულწილად არ ეთანხმება, ჩვენ ვიზიარებთ და აღარ ჩავერევით პარლამენტის განხილვებში“, — განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, კანონის მიღებისთანავე, სასამართლო მზად არის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელახალი არჩევნები ჩაატაროს, რომელშიც მონაწილეობას შეძლებენ როგორც იუსტიციის საბჭოს ამჟამინდელი წევრები, ასევე სხვა მოსამართლეები.

**მედიანიუსი**

# ელჩების დანიშვნას პრეზიდენტმა ხელი მოაწერა

ნათია ხურცილავა

წინა მთავრობის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში დამკვიდრებული ტრადიცია, ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენციები აღდგა. განვლილი კვირისა და მომდევნო კვირის სამუშაოების შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაციას მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი მიაწვდის.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ პრესას განუცხადა, რომ ახალი ელჩების დანიშვნასთან დაკავშირებით სამინისტროს კვლავ პრობლემა ექმნება. ზალკალიანის აღნიშნული განცხადების შემდეგ, დღის ბოლოსთვის ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის მიერ დამტკიცებული ელჩების კანდიდატურებს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 18 მარტის განკარგულებებით დანიშნულ იქნენ: ნატო საბანაძე — ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლად, მიხეილ უკლება — უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, ეკატერინე სირაძე-დელონე — საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და იუნესკოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად, არჩილ გეგეშიძე — ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, ზაზა კანდელაკი — უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, კონსტანტინე ზალდასტანიშვილი — ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქალაქ ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად, თეიმურაზ ჯანჯალია — ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, ზაალ გოგსაძე — ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და კარლო სიხარულიძე — იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ქალაქ რომში განლაგებულ გაერო-ს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის არანაირი ცვლილება არ იგეგმება და მით უფრო, გაუქმება.

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებები შედის. აღნიშნულ ინფორმაციას საგარეო უწყება, როგორც აღვნიშნეთ, არ ადასტურებს.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, აღნიშნულ კანონში ხარვეზები იყო და სწორედ მათ გამოსწორებაზეა საუბარი.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ პრესკონფერენციაზე კომენტარი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალსანიას განცხადებაზეც გააკეთა. ალასანიას განცხადებით, „ისტორიაში პირველად საქართველო ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებში მიიღებს მონაწილეობას.“

საგარეო უწყების წარმომადგენლის ინფორმაციით ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ სამხედრო ოპერაციაში საქართველო შესაძლოა, ექსპერტების ან მრჩევლების დონეზე ჩაერთოს.

— კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველო ჩართულია ნატო-ს ეგიდით დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებში, ახლა განიხილება ევროკავშირის ეგიდით დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა, თუმცა აქვე გეტყვით, რომ ეს შესაძლოა, იყოს მონაწილეობა ექსპერტების ან მრჩევლების დონეზე და ეს სამხედრო შენაერთების დონეზე არ იქნება. — განაცხადა ზალკანიანმა.

საგარეო უწყება გამოეხმაურა ევროპარლამენტარების, კონკრეტულად კი „სახალხო პარტიის“ მიერ გამოგზავნილ წერილებს, რომლის ადრესატიც ახალი ხელისუფლება, კონკრეტულად პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია.

დავით ზალკალიანის განცხადებით, ევროპის სახალხო პარტიასთან საქართველოს ხელისუფლების მიერ გამართული მიმოწერა ევროპის სახალხო პარტიის ინფორმირებისთვის იყო საჭირო.

— ევროპის სახალხო პარტიის რეაქციები იმით არის გამოწვეული, რომ მათ ცალმხრივი ინფორმაციები ჰქონდათ. ისინი იღებდნენ ინფორმაციას მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისგან“. მთავრობამ ჩათვალა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ინფორმაცია ორმხრივად მიგვეწოდებინა. ამაზეც რომ არაფერი ვთქვათ, ევროპის სახალხო პარტია არ არის მთლიანი ევროპა, ის ევროპარლამენტში ერთ-ერთი დიდი გაერთიანებაა. ძალიან სამწუხაროა, რომ ქართული მედია მხოლოდ ევროპის სახალხო პარტიის გამოქვეყნებულ წერილებს აქცევს ყურადღებას. მე აქვე შეგახსენებთ, რომ ევროპის არანაკლებ გავლენიანმა ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ „ევროპის სახალხო პარტიის შეტევა ივანიშვილზე გონიერების ფარგლებს სცდება. — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, აღნიშნული მიმოწერა აუცილებელი იყო.



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე 18-19 აზერბაიჯანის რესპუბლიკას ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრები გამართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ არტურ რასი-ზადესთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარესთან, ოქთაი ასადოვთან და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრ აბულფაზ გარაევთან.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე შეხვედრას გამართავს თავის კოლეგასთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ელმარ მამედიაროვთან.

საგარეო უწყების ინფორმაციით იგეგმება შეხვედრა აზერბაიჯანული მედიის წარმომადგენლებთან.

საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მაია ფანჯიკიძე მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო კონფერენციაში „თანამშრომლობის გაძლიერება ტერორიზმის აღმოფხვრის საქმეში“.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ინფორმაციით 20 მარტს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ მომუშავე ჯგუფი ბრიუსელში გაემგზავრება, სადაც მოლაპარაკებების მე-14 რაუნდი გაიმართება.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დავით ზალკალიანმა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, 20 მარტს გაიმართება მოლაპარაკებები სავიზო ლიბერალიზაციის საკითხებზე, 21-22 მარტს კი — ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე.

— ასოცირების შესახებ ხელშეკრულება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფის ეფექტურობა ვილნიუსის სამიტზე უნდა აისახოს. — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ჯგუფი პარლამენტში სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომას დაესწრო.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, „შეხვედრის ინიციატივა სამინისტროს ეკუთვნის“.

— დღეს ქუთაისში სამი კომიტეტის სხდომა ჩატარდა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ ინფორმაცია მივაწოდოთ, განვუმარტოთ თუ რა სტადიაში ვიმყოფებით, თუმცა აქვე გეტყვით, რომ პარლამენტს ამის შესახებ ინფორმაცია მუდმივად მიეწოდება, — განაცხადა ზალკალიანმა.

# მიენიჭება თუ არა სომხურ ენას რეგიონული ენის სტატუსი

შორენა მარსაგიშვილი

ჯავახეთის გარშემო ვითარება იძაბება. 14 მარტს, ახალქალაქის საკრებულოს სხდომაზე, ფრაქცია „ქართული ოცნება“ – რესპუბლიკელები“ სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭების ინიციატივით გამოვიდა. მათ პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის სახელზე მიმართვაც მოამზადეს. მოთხოვნას ახალქალაქის დეპუტატები საქართველოს მიერ საერთაშორისოდ აღებულ ვალდებულებას უკავშირებენ.

– შესაძლოა, ჩვენ იმის მომსწრენი ვართ, რომ 2013 წლის 14 მარტი ჩვენი ხალხის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით შევა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს სახელმწიფოს, დღევანდელ მთავრობას, რომ ეროვნულ უმცირესობებს ასეთი საკითხების განხილვის საშუალებას აძლევს, – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ ჰამლეტ მოვსესიანმა.

სხვა დროს ნაციონალები ამას ყურადღებას არ მიაქცევდნენ. მითუმეტეს საგანგაშოდ არ მოეჩვენებოდათ ეს მოთხოვნა. მის მოწინააღმდეგეებს კი ქსენოფობიაში დასდებდნენ ბრალს.

ახლა ოცნების სიო ქრის და ნაციონალებმა გადაწყვიტეს ჯავახეთის თემაზე ატეხონ განგაში. ჯერ ვაგან ჩახალიანის გათავისუფლების გამო მათ უკვე ატეხეს წივილ-კივილი. მანამდე იტირეს ვიდრე ჩახალიანი არ გამოვიდა და არ თქვა თავი დამანებეთ, არანაირ ავტონომიას არ ვითხოვო.

ეს თემა მეტნაკლებად ჩაწყნარდა. მაგრამ ვინ გაცლის მშვიდ ცხოვრებას. ჰამლეტ მოვსესიანის იდეამ ნაციონალებს სულში სასიამოვნოდ შეუღიტინა. ამ თემაზე თავი ნაციონალების გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმაც გაინერვიულა. მერაბიშვილი თავს ამ ქვეყნის პატრიოტად მიიჩნევს და ამ მიმართულებით მეოცნებეებს თანამშრომლობას ჰპირდება.

– სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღეს ჯავახეთში სიტუაცია ოდნავ შეიცვალა და იმედი მაქვს, რომ ეს პირველი ნიშნები სიტუაციის დაძაბვის, მხოლოდ პირველი ნიშნები იქნება და ჩვენს ახალ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება სხვა რამ არ დაუშვას. მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ შეწყვიტოს დევნა „ნაციონალური მოძრაობის“ იმ აქტივისტების წინააღმდეგ, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. მინდა, მათ შევახსენო, რომ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებმაც შეძლეს ახალქალაქის ქართულ სახელმწიფოსთან დაახლოება. მინდა, გითხრათ, რომ რამდენიმე დღის წინ მოხსნეს პოლიციის უფროსი, რომელიც არის ის ადამიანი, ვინც 2008 წლის 8 აგვისტოს მივლინებიდან საკუთარი ხარჯებით დაბრუნდა საქართველოში. ასევე, მინდა, შეგახენოთ, რომ მაშინ როდესაც რუსეთის ჯარი შემოვიდა, არცერთი ადამიანი ახალქალაქში არ გამოსულა გარეთ, არ ჩაუტარებიათ მიტინგი და არ გამოუხატავთ პრო-რუსული განწყობა. ამდენად, მინდა, შევთავაზო ხელისუფლებას, რომ გამოიყენოს ჩვენი გამოცდილება. მე მზად ვარ, სახელმწიფოს ნებისმიერ წარმომადგენელს შევხვდე და შევთავაზო კონსულტაცია, მივცე რჩევა, გამოვიყენო ჩემი პირადი გამოცდილება. პირდაპირ გეტყვით, რომ მცდელობაა, რამდენიმე ხნის წინ რაც ამ რეგიონში მოხდა, ყველაფერი დაბრალდეს „ნაციონალურ მოძრაობას“. „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა საკითხი სომხურ ენასთან დაკავშირებით. მინდა, გითხრათ, რომ თვითონ ეს დადგენილება „ოცნების“ მიერ იყო პროვოცირებული. ჩვენ ამ ბოლო 9 წლის განმავლობაში ვაკეთებდით იმას, რომ ეს საკითხი საერთოდ არ დამდგარიყო, მინდა, გითხრათ, რომ დავით რასტაკიანი, რომელიც იყო საკმაოდ გავლენიანი ადამიანი, რომელიც იყო წინა საკრებულოს წევრი, რა თქმა უნდა, არა – „ნაციონალური მოძრაობიდან“. ამ საკითხს საკრებულოს დღის წესრიგში ყოველთვის აყენებდა და სწორედ ამიტომ ბოლო არჩევნებზე ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად რომ რასტაკიანი და მისი მსგავსი ადამიანები საკრებულოში არ ყოფილიყვნენ. ყველა ისეთი რადიკალის, როგორიც ჩახალიანია, მოვახდინეთ იზოლაცია, რათა მათ არც ეს და არც სახვა საკითხები საკრებულოს სხდომებზე თუ სხვა საჯარო შეკრებებზე არ დაეყენებინათ. თქვენ იცით, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ ბრძოლის ეგიდით, ციხიდან გამოუშვა და ლამის გმირად შერაცხა ჩახალიანი. ტოროსიანს მოუხსნა პერსონა „ნონ გრანტას“ სტატუსი, დაიწყო ბრძოლა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების წინააღმდეგ და შედეგად, ეს სურათი მივიღეთ. მცდელობა იმისა, რომ ეს ყველაფერი დააბრალონ „ნაციონლურ მოძრაობას“, არის უსუსრი, იმიტომ რომ ყველა შემთხვევაში, რაც ხდება საქართველოში და განსაკუთრებით ჯავახეთში, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას. წინა მთავრობაში ჯავახეთის საკითხი პირადად მე მქონდა ჩაბარებული და დროის 20%–30%-ს მას უთმობდა, ახლა კი მზადა ვარ ახალი მთავრობაში ჩემი გამოცდილება იმას გაუზიაროს, ვისაც ჯავახეთი აბარია, – აცხადებს მერაბიშვილი.



## რას სთავაზობს მერაბიშვილი მეოცნებეებს

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მერაბიშვილმა იმითაც იტრაბახა რომ ჯავახეთში მათ დააბრუნეს ქართული სული.

– მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში და მას შემდეგ განსაკუთრებით, რაც ჩვენი ხელისუფლების მიერ გააქტიურდა ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანა, ჯავახეთში ძალიან გააქტიურდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც რუსული სამხედრო ბაზის გაყვანას პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ და ათასგვარ პროვკაციაზე მიდიოდნენ. გააქტიურდა რადიკალური ნაწილი და თქვენ გახსოვთ, როგორი შევიწროება დაიწყო ყველა ქართული ინსტიტუტის, როგორც ახალაქალაქში, ისე – ნინოწმიდნაში. თქვენ გახსოვთ, როგორ დაიწყო შეტევები ქართულ სასულიერო პირებზე და რამხელა პრობლემები იყო იქ რეგიონში. პრაქტიკულად, მაშინ ქართულ სახელმწიფოებრიობას ახალქალაქში არ ჰყავდა არცერთი სერიოზული ადგილობრივი საყრდენი. ამ რეგიონში მოქმედებდნენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც იყო „ნარაკუნკი“, „ვირქი“, „ჯავახკი“ და სხვები და ყველა მათი ხელმძღვანელი ცდილობდა ხელი მოეთბო და პირადი სარგებელი ეპოვა ამ სიტუაციიდან. თქვენ გახსოვთ, 2004-2005 წლებში მრავალათასიანი მიტინგები ახალქალაქის ცენტრში სხვადასხვა რადიკალური მოთხოვნებით და ყველაზე რადიკალური იყო ვაჰგან ჩახალიანი და მას სომხეთიდან ღიად და შკარად მხარს უჭერდა სომხეთის პარლამენტის წევრი ტოროსიანი. ჩვენ და პირადად მე ვიყავი ჩართული ყველა იმ პროცესში, რომელიც ამ ქალაქში მოქმედებდა. ჩვენ დაგვჭირდა ძალიან დიდი შრომა იმისათვის, რომ ყველა იმ ინტერესთა ჯგუფია, ყველა იმ ადამიანია, ვინც იყო აქტიური და ვისაც ჰქონდა გავლენა ახალქალაქში, მოგვეხდინა მათი ინტეგრაცია ახალ ქართულ სინამდვილესთან, ქართულ სახელმწიფოში და შეგვექმნა იქ ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის პოლიცია და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები და გაგვეძლიერებინა ქართული სახელმწიფო. ზუსტად ამიტომ, ჩვენმა ხელისუფლებამ დაიწყო ფართომასშტაბიანი, ინფრასტრქუტურული პროექტების განხორციელება ახალქალაქში. შეგახენებთ, რომ ახალაქალაქში შეყვანილ იქნა გაზი, რომელიც იქ არასდროს არ იყო. აშენდა მაღალი ხარისხის ატომაგისტრალი, რომელმაც დააკავშირა თბილისი ახალქალაქს; ჩვენ მიერ დადგა საკითხი და ჩვენ განვახორციელეთ, დავუახლოვეთ ახალაქალაქი თბილისს და ეს გავაკეთეთ იმისთვის, რომ ამ რეგიონის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაცია გაადვილებულიყო. ჩვენ იქ დავასრულეთ პირველი ეტაპი სამთო-სათხილამურო კომპლექსიის მშენებლობისა, ჩვენ დავიწყეთ გრანდიოზული ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა, ჩვენ ფორსირება გავაკეთეთ და რამდენიმე თვეში უნდა გახსნილიყო კარწახის საბაჟო, რათა მეტი და მეტი ადგილობრივი დასაქმებულიყო, შესაძლებლობა ჰქონოდათ ქართული ენა ესწავლათ და ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები გამხდარიყვნენ. უახლოესი ისტორიის მანძილზე არასდროს არ იყო ქართული სახელმწიფო ახალქალაქში ისეთი ძლიერი, როგორიც ბოლო სამი წლის განმავლობაში. ჩვენ ყველანი, მათ შორის ისინიც, ვინც ძველად, სუსტი ხელისუფლების – შევარდნაძის დროს, პირდაპირ ან ირიბად წინააღმდეგობას უწევდა ქართულ სახელმწიფოს, ყველა ის ადამიანი ჩავრთეთ სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებში. ჩვენ ამ ადამიანებს შევუქმენით განცდა, რომ მათ ავტოინსპექტორი არ აჩერებს და არ აჯარიმებს, მათ ელექტროენერგიის მომარაგება ისევე აქვთ, როგორც დანარჩენ საქართველოში, მათ აქვთ ისეთივე გზები, როგირც სხვაგან, – აღნიშნა ამაყმა მერაბიშვილმა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, სომხურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში არ დგას. მისთვის ვანო მერაბიშვილის მხრიდან ამ საკითხის შეცხადება მიუღებელია.

– ეს არის საკითხი, რომელიც არ გასცილებია შიდა, საკრებულოში განხილვის ფარგლებს. ეს არ არის საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას პარლამენტში, მასზე არ შემოსულა არანაირი ოფიციალური მომართვა და არ იხილება. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი ნაბიჯი, რომ დაიწყოს ტირაჟირება ამ თემის და ხელოვნურად შექმნას ძალიან ნეგატიური ფონი. ვფიქრობ, ამ თემას მოყვება გაგრძელება მათი მხრიდან, ვანო მერაბიშვილის ბრიფინგები. ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი სამველ პეტროსიანი „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს და მათ თავის გუნდში უნდა გაარკვიონ, რატომაა ამ თემასთან დაკავშირებით აზრთა ასეთი შეუთანხმებლობა. ხელისუფლება ნებისმიერ გადაწყვეტილებას საქართველოს ინტერესების შესაბამისად მიიღებს, ამავე დროს, არც ერთი რეგიონის და ეთნიკური უმცირესობის ინტერესი დარღვეული არ იქნება, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ბესელიამ.

# მალხაზ თოფურია: „ვანო მერაბიშვილს, იგორ როდიონოვის მსგავსად, რუსთაველზე აქციის ჩატარების უფლება არა აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ბოლო პერიოდში საკმაოდ მოუმრავლდნენ თვითნაბადი პატრიოტები. ექსპერტმრავალ საქართველოში ბლომად გაჩნდნენ ექსპერტები პატრიოტიზმის საკითხებში. ეს ადამიანები ბოლო დროს ძალიან გააქტიურდნენ. აპროტესტებენ ყველაფერს, რისი გაპროტესტებაც შეიძლება და არ შეიძლება. 19 აპრილს ნაციონალების დაგეგმილ აქციაზე სწორედ ამ პატრიოტებს ევალებათ პოლიტიკური ტემპერატურის აწევა.

რატომ იბარტყეს ასე უცბად პატრიოტებმა, რას მიზანს ემსახურება მათი აქტივობა, ვის არა აქვს რუსთაველის გამზირზე აქციის გამართვის უფლება, ამ თემებზე „ახალ თაობას“ „საქართველოს ლეგიონის“ თავმჯდომარე მალხაზ თოფურია ესაუბრება. და თუ ვინმეს შეიძლება ეწოდოს ექსპერტი პატრიოტიზმის საკითხებში, ეს მალხაზ თოფურიაა. ზოგიერთი პატრიოტის გასაგონად ვიტყვი, რომ ეს ადამიანი საქართველოს დასაცავად წარმოებულ ყველა ომში მონაწილეობდა. ქართულ არმიასაც გვერდიდან არ მოშორებია, მაგრამ რად გინდა, არმიის ერთგულებისთვის იარაღით ნუგზარ წიკლაური დაასაჩუქრეს. წიკლაურზე სხვა დროს გებაასებით, ახლა კი მალხაზ თოფურიას პოზიციას გავეცნოთ.

***– რას უნდა მივაწეროთ ბოლო დროს ქვეყანაში პატრიოტების ასეთი გააქტიურება?***

– მოდით, ჯერ გამარკვიეთ, რომელ პატრიოტებზე საუბრობთ? მაზმანიანის პატრიოტები თუ გყავთ მხედველობაში, მგონია, რომ ნაციონალებმა იუმორისტული კოჰაბიტაცია შემოგვთავაზეს. რუსეთთან ურთიერთობებს აპროტესტებს კახა ბენდუქიძე, ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობას სათავეში უდგას მაზმანიანი, დემოკრატიაზე საუბრობს ვანო მერაბიშვილი. ადამიანის უფლებების დარღვევას აპროტესტებს ყოფილი ზონდერი გიორგი ონიანი. პირდაპირ არ ვიცი, საიდან მოდის ეს ყველაფერი. ეტყობა, შავი იუმორი აქვთ ნაციონალებს. ვინც რისი ანტიპოდი იყო, იმას ჩაუდგა სათავეში. ვერ ვხვდები, რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი, შესაძლოა დაგვცინიან. პატრიოტულ თემაზე თუ უნდათ რაღაცის აგორება, სხვა ვინმეს ჩააბარონ ეს მიმართულება. როგორ შეიძლება, რუსეთის წინააღმდეგ რუსული სატანკო ქარხნის მეწილე ბენდუქიძე იდგეს. ეს არის საზოგადოების დაცინვა.



***– მე მაინც პატრიოტების გამოჩენას დავუბრუნდები. ასე უცებ საიდან გაჩნდა ამდენი პატრიოტი, რომლებიც მაშინ არსად ჩანდნენ, როცა ქვეყანას უჭირდა?***

– სად არიან პატრიოტები? მაზმანიანის ხალხს როგორ შეიძლება პატრიოტები ეწოდოს. ახლა ხდება გადათამაშება. იმ დღეს აგრარული უნივერსიტეტის დასაცავად ვიხილეთ თვალებანთებული ახალგაზრდა, რომელიც აქციაზე შეშფოთებული აცხადებდა, რომ ახალ ხელისუფლებას არ სჭირდება განათლებული ახალგაზრდობა. მერე გაირკვა, რომ ეს ახალგაზრდა ყოფილა ბაჩო ახალაიას სასტიკი დამცველი. ის იმასაც აპროტესტებდა, რომ ჰუმანისტი ახალაიას პირობები ციხეში ირღვეოდა. და რაც მთავარია, ეს თვალებანთებული ახალგაზრდა საერთოდ არ იყო აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი. ნაციონალებს ჰყავს ხალხი, რომელთაც აქეთ-იქით დაარბენინებენ და საპროტესტო აქციებს აწყობინებენ. აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით თამარ ჩერგოლეიშვილს მნიშვნელოვანი რაღაც წამოსცდა. ის რამდენიმე ადამიანს, მათ შორის ნინელი ჭანკვეტაძეს, დაემუქრა: აგრარულში ახალი თაობა რომ წამოიზრდება, მერე იმათ იდებატეთო.

***– ამით იმის თქმა გინდათ, რომ აგრუნი მოდებატე ახალგაზრდებს ამზადებს?***

– მთელ უნივერსიტეტს არ ეხება. იქ, ცხადია, არის აგრარული ფაკულტეტები, მაგრამ იქვეა ისეთი ფაკულტეტები, რომლებსაც სოფლის მეურნეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს გახლავთ თავისუფლების ინსტიტუტის სამჭედლო, საიდანაც ახალი, ზომბირებული მასა უნდა გამოუშვან. ეს, მათდა სამწუხაროდ, ქალბატონმა თამარმა გააჟღერა. თქვენ მკითხეთ, ამდენი პატრიოტი საიდან გაჩნდაო. დამიჯერეთ, რომ ეგ პატრიოტები ბევრნი არ არიან. თავის დროზე მათ პრეზიდენტის სასახლისთვის უნდოდათ ცოცხალი ჯაჭვის შემოვლება, მაგრამ ჭიშკარს ვერ გაცდნენ. მათი რაოდენობა 20 კაცს არ აღემატებოდა. მაზმანიანს რა უნდა ველაპარაკო, რომელიც გვიმტკიცებდა, პრეზიდენტის მხარდასაჭერად 2 მილიონი ხელმოწერა შევაგროვეო. ორმილიონიან ტყუილს რომ კაცი იტყვის, იმას რა უნდა მოსთხოვო. დარწმუნებული ვარ, 50 ხელმოწერაც ვერ მოაგროვა. ნაციონალები მაზმანიანს პატრიოტების ლიდერად რომ უშვებს, ან კადრების მწვავე დეფიციტი აქვთ, ანდა საქართველოს დასცინიან.

***– ბოლო ხანებში თვალშისაცემია პატრიოტიზმის დარგში ექსპერტების სიმრავლე. ეს რის მანიშნებელია, ან რა ნიშნით ხდებიან ამ დარგში ექსპერტები?***

– ამ მხრივ პროცესები ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს. ასეთი ექსპერტები ადრეც გვყავდა, ბოლო დროს მათ ახლი ექსპერტებიც შეემატნენ.

***– ახალი ექსპერტების გაჩენა რა საჭირო იყო?***

– არც ისე სულელები არიან ნაციონალები, რომ მთლად ძველების იმედად იყვნენ. ნიკა ჩიტაძის, მიშა თავხელიძის და ქეთა გაბიანის გამოჩენა უკვე სამარცხვინოა. სამარცხვინოა მათი კომენტარები მიტინგების დარბევებზე, გახმაურებულ მკვლელობებზე. მათი გამოჩენა უკვე უხერხულია და ახალი ექსპერტები გამოაცხვეს. ისინი შედარებით გაუცვეთავი სახეები არიან. ადრე სად იყვნენ, არ ვიცი. იმ დღეს ერთმა ჩემზე კიდევ უფრო მელოტმა კაცმა ისიც იკადრა, მაშინ პატარა ვიყავი და სად უნდა გამოვსულიყავიო. იგივეს ვერ იკადრებდა ქალბატონი ნათია მეგრელიშვილი, რომელიც 60 წელს არის გადაცილებული. მან თავი სხვანაირად გაიმართლა და თქვა: ადრე არ მალაპარაკებდნენო. ეს ახალი სახეები შედარებით გაუცვეთელი სახეები არიან, მაგრამ საუბრის უფლება არა აქვთ. არა აქვთ იმიტომ რომ დუმდნენ, როცა ქვეყანაში ამდენი უკანონობა ხდებოდა.

***– ნაციონალები საგანგებოდ ემზადებიან 19 აპრილის აქციისთვის. ამას ორგანიზებას ვანო მერაბიშვილი უწევს. ცოტა ხნის წინ თქვენ ფეისბუქზე დაწერეთ, რომ მერაბიშვილს, იგორ როდიონოვის მსგავსად, რუსთაველზე აქციის გამართვის უფლება არა აქვსო.***

– ახლაც იგივეს გავიმეორებ. 26 მაისის დარბევის შემდეგ ვანო მერაბიშვილს რუსთაველის გამზირზე აქციის გამართვის უფლება არა აქვს. მე შემეძლო 7 ნოემბრის დარბევაც მეხსენებინა. მაშინაც სასტიკად დაარბიეს ხალხი, უბრალოდ, მაშინ მსხვერპლი არ იყო. ვანო მერაბიშვილი არის კაცი, რომლის მინისტრობის დროსაც აქციაზე დახოცილი ხალხი ჯიხურის თავზე შემოაწყვეს. ამაზე ის გვიმტკიცებს, რომ ამ ადამიანებს დენმა დაარტყა. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის პირადი დაცვა, ვინც იმ დღეს სააკაშვილს იცავდა, დასაპატიმრებლები არიან. სისხლიანი დარბევის შემდეგ რუსთაველის გამზირზე სამხედრო აღლუმი გაიმართა. ამ აღლუმს საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო. იმ ადგილებს, სადაც პრეზიდენტი მიდის, მისი დაცვა გულდასმით სწავლობს. კონტროლდება უახლოესი შენობების სახურავები. მიცვალებულები სულ ახლოს მდებარე ჯიხურის სახურავზე ეწყო. როგორ ვერ შენიშნა დაცვამ 2 დაღუპული? რას მიკეთებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო? ეჭვიც არ მეპარება, რომ ის ადამიანები იქ მერაბიშვილის მითითებით შემოაწყვეს. ვიღაცებს არ მოსწონთ, როცა 26 მაისის დარბევას 1989 წლის 9 აპრილს ადარებენ. მაშინ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა

თამარ ნინიძე

სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძემ მედიასაშუალებებს ახალი ინფორმაცია მიაწოდა რკინიგზაში არსებული დარღვევების შესახებ.

ირკვევა, რომ 2000 წლიდან შპს „რკინა-ბეტონის შპალის ქარხანა“ „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი კომპანიაა. 2007 წლის 22 მაისის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილით „საქართველოს რკინიგზას“ დაევალა შპალის ქარხნის საწესდებო კაპიტალის კორექტირება და საწარმოს 100% წილის სახელმწიფოსთვის გადაცემა. ქარხნის საწესდებო კაპიტალში რკინიგზის მიერ თავისი სახსრებით შეძენილი ძირითადი საშუალებების შეტანის შემდგომ რკინა-ბეტონის შპალის ქარხნის კრედიტორულმა დავალიანებამ „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ შეადგინა 6 278 012 ლარი. 2010 წლის 20 ივლისს „საქართველოს რკინიგზამ“ ჩაატარა ტენდერი 474 000 ცალი შპალის შესყიდვაზე, სადაც ლოტის საერთო ღირებულება განისაზღვრა 43 702 800 შვეიცარული ფრანკით. ტენდერში მონაწილეობდა სამი კომპანია: „ნიუ ენერჯი“, „მიქსორი“ და რკინა-ბეტონის შპალის ქარხანა.

2010 წლის 20 აგვისტოს ტენდერის შედეგების გათვალისწინებით 474 000 ცალი შპალის შესყიდვაზე „საქართველოს რკინიგზამ“ ხელშეკრულება გაუფორმა შპალის ქარხანას, კონტრაქტის საერთო ღირებულება 43 307 000 შვეიცარული ფრანკი იყო. საცალო ღირებულება იყო 91,4 შვეიცარული ფრანკი ანუ 159, 93 ლარი. მაშინ, როდესაც მარაბდა-ყარწახის და შემოვლითი გზის კონტრაქტორ კომპანიებს მიეწოდებოდათ 141, 7 ლარად (18, 2 ლარით ძვირი). ამის შემდეგ ხუთ დღეში 2010 წლის 25 აგვისტოს ეკონომიკის სამინისტროს წერილების და საქართველოს მთავრობის იმავე წლის და იმავე დღის №34 ოქმის საფუძველზე რკინიგზასა და შპალის ქარხანას შორის გაფორმებული იქნა ვალის პატიების შეთანხმება, შპალის ქარხანას ეპატია რკინიგზის ვალი 6 278 012 ლარი, როდესაც ფლობდა 43 მლნ ფრანკის ღირებულების კონტრაქტს.

ზუსტად ორ კვირაში 2010 წლის 9 სექტემბერს ეკონომიკის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე შპალის ქარხანა „დაპრივატდა“ და იგი შეიძინა კომპანია „მიქსორმა“, რომლის დამფუძნებელი არის მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის ძმა, რომელიც მონაწილეობდა შპალების ტენდერში, საპრივატიზაციო საფასური – 6 850 000 დოლარი. საქართველოს რკინიგზას დაახლოებით 15 მილიონი ლარის ზარალი მიადგა.

„ახალი თაობა“ დაუკავშირდა სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს კოკა გუნცაძეს და ინტერვიუ ჩამოართვა.

***— რა მდგომარეობა დაგხვდათ რკინიგზაში?***

— ვითარება, რომელიც აქ დამხვდა, ცხადია, სახარბიელო არ იყო როგორც ქვეყნის სხვა უწყებებში და სხვა დარგებში, მთელი ეს მიმდინარე წელი



იქნება გამოსავლის ძებნის წელი, იმ ვალდებულებებიდან და არარენტაბელური პროექტებიდან, რომელიც მხოლოდ ზიანის მომტანი შეიძლება იყოს კომპანიის ინტერესებისთვის, ასევე უნდა ვიზრუნოთ იმაზე, როგორ გადავიყვანოთ კომპანია სწორ სტრატეგიულ ხაზზე.

***— ის, რაც თქვენ ამჟამად წარმოადგინეთ, დარღვევების ერთი მხარეა, მაგრამ, ალბათ, იყო კიდევ სხვა დარღვევები?***

— უამრავი დარღვევა იყო, ჩვენ რამდენიმე მსხვილი კონტრაქტი წამოვწიეთ, სადაც აშკარად იკითხება ფინანსური სქემები, როგორც რკინიგზის მაშინდელი ხელმძღვანელობის, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებების, ზარალი მიადგა რკინიგზას, წამოვწიეთ რკინიგზასა და ამ კომპანიას შორის გაფორმებული 2012 წლის ივნისის კონტრაქტი, შპალის ქარხანასთან დადებული მსხვილი კონტრაქტი, პრივატიზების დეტალები. კიდევ ბევრია ასეთი კონტრაქტი, რომელიც არ იყო რენტაბელური და გახლდათ საეჭვო, მთელ რიგ ხელშეკრულებებში შეინიშნება ფინანსური სქემები. იკვეთება საეჭვო გარიგებები, ეს საქმეები გადაცემულია საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს ძიება.

***— როცა გაეცანით ამ დარღვევებს, შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ რკინიგზას არავინ ამოწმებდა?***

— თქვენ, ალბათ, იცით, როგორი სისტემა მუშაობდა წლების განმავლობაში, თუ სად წყდებოდა, რომელი თანამდებობის პირების ჩარევით ხდებოდა ასეთი გადაწყვეტილებების მიღება, შესაბამისად შემოწმების კომპეტენციაც და უფლებამოსილებაც მათ ხელში იყო. ამიტომ ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია, ჩვენ კიდევ მოგვიწევს დარღვევების წამოწევა, რკინიგზა ამ ვალდებულებებისგან მაქსიმალურად სწრაფად და უმტკივნეულოდ გამოდის და დაადგება მოდერნიზაციის და განვითარების შეუქცევად გზას.

***— მიხელ სააკაშვილი დიდ იმედს ამყარებდა რკინიგზაზე და აცხადებდა, რომ პერსპექტიული პროექტები ხორციელდება. ამ გადმოსახედიდან საინტერესოა, რაიმე მაინც იყო ახლოს სიმართლესთან?***

— მე არ ვიცი, რას გულისხმობდა პერსპექტიულ პროექტებში, მეეჭვება, რომ პერსპექტიული იყოს ის, რასაც სააკაშვილი გულისხმობდა, თუმცა არ შეიძლება ყველაფერი ან ცუდად იყოს, ან ყველაფერი კარგად იყოს, პოზიტივიც არსებობდა. მინდა აღვნიშნო, რომ რკინიგზაში საკმაოდ კარგი საკადრო რესურსია, აღნიშვნის ღირსი არიან მუშა-მოსამსახურეები, ინჟინრები, მენეჯერები, კომპანიის განვითარებაში მათი კვალიფიკაცია მაქსიმალურად იქნება გამოყენებული. ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი.

***— რას გეგმავთ რეფორმების კუთხით?***

— თვე-ნახევარში დავდებთ რკინიგზის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, ახალ პრიორიტეტებს, სადაც მოცემული იქნება ის, თუ რა მიმართულებით წავა რკინიგზა უახლოეს მომავალში. ეს ეხება ყველა მიმართულებას: ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციას, ახალ მსხვილ პროექტებს, ტვირთის ნაკადის გადამზიდუნარიანობის ზრდას, ახალ და მიმზიდველ სატარიფო პოლიტიკას, ყველაფერს ერთობლიობაში, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს კასპი-შავი ზღვის დერეფნის მიმზიდველობას.

***— წინა ხელისუფლების დროს არსებობდა თბილისის ზღვის მიმართულებით შემოვლითი რკინიგზის გეგმა, არის თუ არა ეს პროექტი დღის წესრიგში?***

— შემოვლითი გზის პროექტი მიმდინარეობს, დარჩენილია ბოლო ტრანში 100 მლნ დოლარის ოდენობით, ეს პროექტი ბოლო ფაზას გადის, ყველა პროექტს აქვს თავისი მინუსები და პლუსები, მიმდინარეობს დამუშავება, ამ პროექტის რენტაბელობის შეფასება, უახლოეს ხანში გაგაცნობთ ჩვენს პოზიციას ამ შემოვლით გზასთან დაკავშირებით.

***— როგორც ვიცი, ამ პროექტს ჩინური კომპანია ახორციელებს?***

— ჩინური კომპანია კონტრაქტორი კომპანიაა, რომელსაც მიჰყავს სამშენებლო პროცესი. არის ამ პროექტის ოპერატორი, ტექნიკური ზედამხედველი არის გერმანული კომპანია „აილეფი“.

***— საუბარია რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნაზე. როგორც პოლიტიკოსი, როგორ აფასებთ ამ პროექტს?***

— აფხაზეთის რკინიგზის გახსნის საკითხი არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიიღოს საქართველოს მთავრობამ. ამიტომ არაკორექტული იქნება ჩემი მხრიდან, რომ წინასწარ რაიმე შეფასება მივცე ამ პროექტს და ჩემი პოზიცია გამოვხატო უფრო ადრე, ვიდრე მთავრობის გადაწყვეტილება იქნება. თუმცა გამაჩნია ჩემი პოზიცია, პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებისგან თავს შევიკავებ, რაც შეეხება წმინდა ტექნიკურ პარამეტრებს, 20 მილიონი ტონით გაიზრდება საქართველოს რკინიგზის გადამზიდუნარიანობა, ეკონომიკური თვალსაზრისით ის უდავოდ მომგებიანია.

***— ნაცმოძრაობა თქვენს გვარს უარყოფით კონტექსტში ახსენებს, რატომ დაინიშნა მაინცდამაინც კოკა გუნცაძე ამ თანამდებობაზე. თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ დაინიშნეთ?***

— ისინი ჩემს გვარს უარყოფით კონტექსტში უნდა ატრიალებდნენ. ამაში გასაკვირი არაფერია, გასაკვირი ის იქნება, დადებით კონტექსტში რომ ვეხსენებინე. ჩემი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო საპარტნიორო ფონდმა, მე დავთანხმდი ამ შემოთავაზებას. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვარ, კომპანიის ყოველდღიურ მართვაში არ ვერევი. მე პასუხისმგებელი ვარ კომპანიის სტრატეგიაზე, მის ბიზნესპოლიტიკაზე, ძირითად მიმართულებაზე, რამაც უნდა მოიტანოს საბოლოოდ რკინიგზის განვითარება, შემოსავლები კომპანიისთვის და კასპი-შავი ზღვის დერეფნის განვითარება. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთი შემოთავაზება მივიღე.

***— ირაკლი ეზუგბაიას დროინდელ დარღვევებზე ვრცელი სტატიები ქვეყნდება. საუბარია მილიონობით ლარის დანაკარგზე და მითვისებაზე. როგორ აფასებთ მის საქმიანობას?***

— მე რომ შევაფასო, არ იქნება სწორი. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. შემიძლია ვისაუბრო კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ტვირთნაკადებზე, პროექტების საეჭვო ღირებულებებზე, იყო პოზიტიური მომენტებიც.

***— რას უნდა ელოდოს მოსახლეობა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით?***

— სახალხო რკინიგზას დიდი სოციალური დატვირთვა აქვს. იცით, რომ რკინიგზაში ძირითადი შემოსავლები მოდის სატვირთო გადაზიდვებზე, ბიზნესზე. სამგზავრო გადაყვანა პირდაპირ კავშირშია მომხმარებელთან, სიახლეებია დაგეგმილი, ეს ეხება სატარიფო პოლიტიკის მიმართულებას, ასევე სიახლეა მარკეტინგული თვალსაზრისით, კომფორტული, უსაფრთხო და სწრაფი რომ იყოს მომსახურება. უფრო მოქნილი გახდება საფასო პოლიტიკა, მეტი კომფორტი იქნება მატარებელში.

## მალხაზ თოფურია: „ვანო მერაბიშვილს, იგორ როდიონოვის მსგავსად, რუსთაველზე აქციის ჩატარების უფლება არა აქვს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მსხვერპლი უფრო დიდი იყო, მაგრამ არ დაგვავიწყდეს რომ მაშინ აქცია გადამთიელმა როდიონოვმა დაარბია. 26 მაისს კი ეს საქართველოს მოქალაქეებმა გააკეთეს. ამიტომაც არა აქვთ მერაბიშვილს და როდიონოვს მიტინგის გამართვის უფლება. მე მათ არ ვუზღუდავ აქციის მოწყობის უფლებას, მაგრამ რუსთაველზე ნუ გამართავენ. მერაბიშვილს ასევე არა აქვს მორალური უფლება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ადგილას ჩაატაროს აქცია და კიდევ იმ ადგილებში, სადაც უდანაშაულო ხალხს ხოცავდნენ. მას სრული უფლება აქვს, აეროპორტის ტრასაზე გამართოს აქცია.

***— მაინცდამაინც იქ რატომ?***

— მანდ არის ნაციონალების სათავო ოფისი. მიმდებარე ტერიტორიაზე მათ არც მკვლელობები ჩაუდენიათ. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი იცის. რუსთაველის გამზირზე მერაბიშვილის აქციაზე მისვლა იგივეა, რაც როდიონოვის გამოჩენა.

***— თქვენი არ იყოს, ბევრი ფიქრობს, რომ მერაბიშვილს რუსთაველზე აქციის გამართვის უფლება არა აქვს. ადამიანების ნაწილი იმასაც ამბობს, რომ ნაციონალებს აქციას არ მოაწყობინებენ. ბევრი მოსალოდნელ დაპირისპირებაზე ალაპარაკდა. თქვენ რას ფიქრობთ, მოხდება რამე საშინელება 19 აპრილს?***

— ნაციონალების ყველაზე დიდი სურვილია, რომ ეს აქცია ვინმემ დაარბიოს. ვეჭვობ, რომ მათი აქცია დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ნაციონალებს ამის მოსაწყობად რესურსი არა აქვთ. ზემოთაც გესაუბრეთ რომ სხვადასხვა აქციებზე ერთსა და იმავე ხალხს დაარბენინებენ. ისინიც დარბიან გამწარებულები და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ თითქოს ხალხი აღშფოთებულია. რამდენადაც მე ვიცი, ეს ხალხი ამ სირბილში გარკვეულ დაფინანსებასაც იღებს. იშვიათად მხიბლავდა სააკაშვილის ფრაზები, მაგრამ თავის ზეობის ხანაში გამოთქმულ მის ერთ ფრაზას ნამდვილად ვეთანხმები, გაკოტრებული პოლიტიკობის უკანასკნელი ნიშა, პატრიოტის მანტიის მორგებაა.... დღეს თავად არიან გაკოტრებულ გაპატრიოტებულების მდგომარეობაში!

# „იპოთეკის ყველა ხელშეკრულებას კრიმინალის სუნი ასდის“

გულიკო ბალაძე

— 30 მარტს კერძო იპოთეკარების მიერ დაზარალებული მოსახლეობა მთავრობის კანცელარიასთან მოიყრის თავს. ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, დანაპირები შეასრულოს, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ.

ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, პრემიერ-მინისტრის დავალებით რაღაც ჯგუფი შეიქმნა, მაგრამ ეს ჯგუფი რა ფუნქციას შეასრულებს, რას გააკეთებს, არ არის გაცხადებული. სამაგიეროდ, ადამიანების ბინებიდან გამოსახლება არ შეჩერებულა.

— პრემიერ-მინისტრის დავალებით, კერძო იპოთეკარების საქმესთან დაკავშირებით, რაღაც ჯგუფი შეიქმნა, მაგრამ არაფერი თქმულა, რა ფუნქცია უნდა შეასრულოს და რა გაკეთდა. ამასთან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათობით ოჯახის ბინებიდან გამოსახლება ხდება. ეს არის ხელისუფლების დანაპირების შეუსრულებლობა. ამიტომაა კრიტიკა. კერძო იპოთეკარები, რომლებმაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს ეს ხალხი, იწვევს მათ ძალიან დიდ გულისწყრომას. როგორც ჩანს, ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ არის საქმის კურსში არსებული ვითარების თაობაზე, ანუ ის არ არის ინფორმირებული, ზუსტად რას ითხოვს ეს ხალხი.

30 მარტის აქცია სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ მას ინფორმაცია მიეწოდოს. ვინაიდან, რამდენიმე კვირის წინ, როდესაც ბათუმიდან იყო ხალხი ჩამოსული და შეკრებილი ივანიშვილის რეზიდენციასთან, იქ შეხვდნენ პრემიერს. გაირკვა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია, თითქოს ეს ხალხი მისგან ითხოვდნენ ფულს და პატიებას. სინამდვილეში ეს ხალხი ითხოვს კრედიტებს, შეღავათიან სესხებს დაბალ პროცენტში, რომ ამ კრედიტით დაფარონ კერძო იპოთეკარების თანხები და შემდეგ გაისტუმრონ ბანკის სესხი.

ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ კერძო იპოთეკარებთან დაკავშირებით ბატონ ბიძინა ივანიშვილს სრულყოფილ ინფორმაციას არ აწვდიან.

— ბიძინა ივანიშვილის კერძო იპოთეკარებთან შეხვედრამ აჩვენა, რომ მას სრულყოფილ ინფორმაციას არ აწვდიან. რეალურად, მის გუნდში არის ხალხი, რომელიც საბოტაჟს აწყობს. რეგიონალურ მედიასთან ბატონ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას თუ უსმინე. იქ თვითონ განაცხადა, პარლამენტში სამი კაცი არ მყავს, რომელიც საქმეს გააკეთებსო. ეს ხალხი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რაშიც სახელმწიფოსაც მიუძღვის წვლილი, რადგან მათმა ნაწილმა ფული ისესხა საპროცესო შეთანხმებებისთვის, ტურისტული სეზონისთვის და სხვა პრობლემების გამო. ჩვენი მიზანია, როგორმე შევაჩეროთ მათი გამოსახლების პროცესები, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

ნიკოლოზ მჟავანაძე ფიქრობს, რომ 30 მარტის აქცია გარკვეულწილად იქნება გამოსაფხიზლებელი ხელისუფლებისთვის. ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ საქმე არის ძალიან რთულად და არა ისე, როგორც მათ ჰგონიათ.

— ეს ყველაფერი ძალიან მძიმე შედეგებს




მოგვიტანს. მოქმედების დროა. აქამდეც გვინდოდა აქციის გამართვა, მაგრამ თავს ვიკავებდი. ეს დაზარალებული და მძიმე მდგომარეობაში მყოფი ხალხიც იკავებდა თავს, რომ ეს აქცია სხვანაირად არ მონათლულიყო. ეს აქცია არავის საწინააღმდეგო არ არის. არც ხელისუფლების საწინააღმდეგოა. ჩვენი მიზანია ხელისუფლებამ დაიწყოს ქმედებები.

***— ბატონო ნიკა, რა უნდა გაკეთდეს?***

— ჯერ უნდა შეჩერდეს აღსრულებები, ადამიანების ბინებიდან გამოსახლება. შემდეგ დაიწყოს ინდივიდუალური მუშაობა ამ ხალხთან და გაიცეს გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხები.

***— სახელმწიფოს შეუძლია, რომ ჩაერიოს კერძო იპოთეკარებისა და კონკრეტული პირების შეთანხმებებში?***

— აბა, ტყუილად ხომ არ განაცხადეს წინასაარჩევნოდ. ჩარევა იპოთეკარების საქმეში კი არ მოხდება, არამედ სახელმწიფო გასცემს გრძელვადიან სესხებს. ის ადამიანი აიღებს, დაფარავს კერძო იპოთეკარის ვალს და შემდეგ ექნება ერთ მევალესთან საქმე და გრძელვადიან სესხს დაფარავს. ახლახან ბათუმში ვიყავი, სადაც რამდენიმე ადამიანი შემხვდა და მითხრა, გვახრჩობენ, გვირჩევნია ერთ მევალესთან გვქონდეს საქმეო. ამ ადამიანებს გარკვეული სახსრების გასტუმრების საშუალება აქვთ, მაგრამ ვერ ისტუმრებენ, რადგან ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან ჩაყენებული.

ეს მძიმე მდგომარეობა უმეტესწილად სახელმწიფოს არასამართლებრივმა მიდგომამ გამოიწვია. ისინი საპროცესოებში იხდიდნენ ფულებს. იძულებული იყვნენ, დიდი ოდენობის ფულის სანაცვლოდ, იპოთეკაში სახლები, ბინები ჩაედოთ. ამიტომ აღმოჩნდნენ ასეთ ვითარებაში.

***— თუ სწორად მახსოვს, კერძო იპოთეკარებმა განაცხადეს, რომ მათი უფლებებიც ირღვევა და შეიძლება გიჩივლონ.***

— ვინ რაზე უნდა მიჩივლოს. ვერავინ გვიჩივლებს, რადგან ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის ხალხი დამნაშავეა, არამედ გამოვთქვით საფუძვლიანი ეჭვი.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# სასწრაფოს თანამშრომლებს ნაციონალები 19 აპრილის აქციაზე ერეკებიან?

მერი ნამორაძე

ნაციონალური მოძრაობა ჩვეული ამპლუით აპირებს 19 აპრილს დაანონსებული აქციის გამართვას. ჩვეულ ამპლუაში მერიის დაქვემდებარებაში



არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა შევიწროვებასა და იძულებას ვგულისხმობთ აქციაზე მისასვლელად. ნაციონალებს კიდევ ამ იძულების იმედი აქვთ, თორემ მათ დაძახებაზე საღად მოაზროვნე ადამიანები რომ არ გაჩნდებიან აქციაზე, კარგად უწყიან. ქალაქის ხელისუფლებას ან ავიწყდება, ან არ სურს სიმართლეს თვალებში შეხედოს და საკუთარ თავს იმაში გამოუტყდეს, რომ მოქალაქეთა თვითშეგნება გაცილებით გაიზარდა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ და არცთუ ისე იოლია საკუთარი ნების წინააღმდეგ აიძულო ადამიანი, ვინმეს მიტინგზე საათობით დადგეს. ყოველ შემთხვევაში „აბუნტებულ" სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალთან ეს მერიას აღარ გაუვა.

დღეიდან სამსახურიდან გათავისუფლებულმა და შიმშილობაშეწყვეტილმა ექიმებმა შესაძლოა საპროტესტო აქციები უკვე მერიის წინ განაახლონ და დანაპირების შესრულება ქალაქის ხელისუფლებისგან მოითხოვონ. ამჯერად ირწმუნებიან, რომ აქციას სასწრაფოს სხვა თანამშრომლებიც შეუერთდებიან.

სასწრაფოდან გათავისუფლებული ექიმები თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს მამუკა ქაცარავას დაპირების შესრულებასა და სასწრაფოს ხელმძღვანელის კახა ჩიხრაძის და მისი მოადგილეების გათავისუფლებას სთხოვენ. მედიკოსებმა მას შემდეგ შეწყვიტეს შიმშილობა, რაც ჯანდაცვის მინისტრმა სასამართლოსკენ მიუთითა და სამსახურში მათი აღდგენის საკითხის გარკვევაც სწორედ სასამართლოს მიანდო. როგორც გაცხადდა, ჩიხრაძის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწრაფოდან გათავისუფლებული ექიმების საკითხის სამართლებრივი განხილვის დასრულების შემდეგ გადაწყდება. „ნიუს-ჯი"-ს ინფორმაციით, შიმშილობაშეწყვეტილმა ექიმებმა ქაცარავასგან მიიღეს დაპირება, რომ ჩიხრაძესთან ერთად თანამდებობიდან გათავისუფლდებოდნენ მისი მოადგილეებიც – ირმა ნერგაძე და დავით სალაღაია. მიუხედავად დაპირებისა, ექიმის განცხადებით, ეს პირები ამ დრომდე იკავებენ სასწრაფო დახმარების ხელმძღვანელის მოადგილეების პოსტებს.

სასწრაფო დახმარების მედიკოსთა ინფორმაციით, ნერგაძე სასწრაფოს თანამშრომლებს სატელეფონო ზარებით თავიდანვე აწუხებდა, რომ პროტესტის გამომხატველთა რაოდენობა არ გამრავლებულიყო. თუ მოშიმშილე ექიმების მხარდასაჭერ აქციას შეუერთდებოდნენ სხვები, ისინიც მათს ბედს გაიზიარებდნენ და სამსახურებიდან გათავისუფლდებოდნენ.

მერე საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩიხრაძის მოადგილეებმა უკვე 19 აპრილის აქციისთვის ხალხის შეგროვებაზე დაიწყეს ზრუნვა. როგორც სამსახურიდან გათავისუფლებული ერთ-ერთი ექიმი, კაშია განმარტავს, ეს პირები თბილისის მერიის ბრძანებით მოუწოდებდნენ სასწრაფოს თანამშრომლებს, 19 აპრილს „ნაციონალური მოძრაობის" აქციაზე ოჯახებთან ერთად გასულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამსახურებიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ. მათი გათავისუფლებაც სასწრაფოდან იმიტომ მოხდა, რომ სხვებისთვის სამაგალითო ყოფილიყო და დანარჩენები შეშინებულიყვნენ.

როგორც ჩანს, ნაციონალები თავისას არ იშლიან და არც მოიშლიან, ეგ არის მხოლოდ, ვისთან გაუვათ და ვისთან არ გაუვათ მუქარა. ვიდრე საზოგადოება სამაგალითოდ არ მოითხოვს ზეწოლის გამო თანამდებობის პირთა გამომზეურებას და დასჯას, მანამდე ქალაქის მამა და მარჩენლები, ალბათ, ჭკუას ვერ ისწავლიან.

ამჟამად გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს დროებითი მმართველობითი საბჭო ხელმძღვანელობს, რომელშიაც მერიის გარდა ჯანდაცვის სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგენლები შედიან. განიმუხტება და მოწესრიგდება თუ არა სასწრაფო დახმარებაში ვითარება, ამას მოქალაქეები საკუთარ „ტყავზე" იგრძნობენ. ამჯერად რეალობა ასეთია – გამოძახებაზე დაგვიანება ზოგჯერ ლამის ერთი საათით, გაუმართავი ავტოპარკი და სასწრაფოს მანქანების სიმცირე, ქალაქის გაზრდილი მოთხოვნილება გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე – დაახლოებით 1700 გამოძახება დღე-ღამეში.

## სპორტი

# ჩივაძის გუნდი ავსტრიაში გაემგზავრა

წლევანდელი მარტის თვე ძალზე დატვირთულია საქართველოს თითქმის ყველა ასაკობრივი ნაკრებისთვის. ორშაბათს, ჩვენი 21-წლამდე ნაკრები ავსტრიაში მიემგზავრება, სადაც ალექსანდრე ჩივაძის გუნდი საწვრთნელ შეკრებასაც გაივლის და პარალელურად, ძალზე სასარგებლო ამხანაგურ მატჩებს გამართავს ალბანეთის, აზერბაიჯანისა და ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებებთან.

პირველი მატჩი 20 მარტს, ალბანეთთან იქნება, მეორე – 23 მარტს, აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ბოლო შეხვედრას კი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 26 მარტს, ხორვატებთან გამართავს.

ავსტრიული ვოიაჟისთვის ალექსანდრე ჩივაძემ შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

**მეკარეები:** გიორგი ნადირაძე (სპარტაკი), კახაბერ მეშველიანი (ზესტაფონი);

**მცველები:** მამუკა კობახიძე (ალანია, რუსეთი), დავით კოხია (ვოლგა, რუსეთი), გიორგი ჯგერენაია (ილიჩევეცი, უკრაინა), არჩილ ტვილდიანი, გიორგი გაგნიძე (ორივე დინამო თბ);

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი, გიორგი პაპავა, ლაშა პარუნაშვილი, ჯამბულ ჯიღაური ლაშა ჩაფიძე (ყველა დინამო თბ), დავით კირკიტაძე (ჩიხურა), ვალერი ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), მერაბ გიგაური (ტორპედო);

**თავდამსხმელები:** გიორგი ილურიძე (დილა), დავით სხირტლაძე (ორჰუსი), გიორგი ჭანტურია (ალანია, რუსეთი), გიორგი ქვილითაია (დიორ ეტო, უნგრეთი).

21-წლამდე ნაკრები შეკრებას 27 მარტს დაასრულებს და ფეხბურთელებიც თავიანთ გუნდებს მიაშურებენ.

შესარჩევი ციკლის დაწყებამდე (მატჩები სექტემბრიდან დაიწყება), ახალგაზრდულ ნაკრებს მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა აგვისტოში, ლატვიაში აქვს დაგეგმილი.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# გვანცა ყუფარაძე: „დალი მეტრეველი არის მაგალითი, როგორი არ უნდა იყოს მოსამართლე"

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

მკითხველს ემახსოვრება გვანცა ყუფარაძის საქმე, რომლის მიხედვითაც ბევრმა ჩათვალა, რომ საქმე ჰქონდა პატარა უდანაშაულო გოგონასთან, ზოგიც თვლიდა, რომ ასაკის მიუხედავად ის იყო დიდი კრიმინალი. საბოლოოდ, დიდი ძალისხმევით, გვანცამ ყველა პრობლემა დაძლია, სტუდენტიც გახდა და აპირებს, რომ სამართლის სადარაჯოზე დადგება, რათა არასდროს განმეორდეს ისეთი განუკითხაობა, რაც მან თავის თავზე გადაიტანა.

***– გვანცა, ბოლო პერიოდში ისევ აქტუალური გახდა შენი სახელი. ცოტა ადრიდან დავიწყოთ და შევახსენოთ მკითხველს რაში გდებდნენ ბრალს...***

– ბრალი დამედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19;109 მუხლების II ნაწილის „ბ" და „გ" პუნქტებისა და III ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, რაც დეფინიცირდება, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნისა, ხულიგნური ქვენაგრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით. ყოველივე ამის საფუძველზე მომესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით, აქედან 5(ხუთი) წელი სრულად უნდა დამეყო სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 5 (ხუთი) წელი ჩამეთვალა პირობით მსჯავრით აღსასრულებლად.ბრალის წაყენების მომენტიდან დანაშაული არ მიღიარებია, საგამოძიებო და სასამართლო სისტემებში ვცდილობდი დამემტკიცებინა ჩემი უდანაშაულობა, რასაც არაერთი სამართლებრივი არგუმენტი, მტკიცემულება ამყარებდა. ჩემს უდანაშაულობაზე მეტყველებდა დაზარალებულის ალოგიკური ჩვენება, ექსპერტიზის დასკვნები და მოწმეთა ჩვენებების კოლიზია.

***– რატომ მოხდა ასე, რომ გვანცა ყუფარაძეს შეაწმინდეს ხელი? იყო ამის რამე საფუძველი თუ შემთხვევით მოხდა იერიშის მოტანა შენზე?***

– საქმე ის გახლავთ, რომ მე ამ დანაშაულებრივი ქმედების ერთადერთი მოწმე ვიყავი კონკრეტულ მომენტში. დომინანტური ფაქტორივი მოტივი, რის საფუძველზეც ბრალი წამიყენეს, გახლდათ თორნიკე ტყემალაძის ჩვენება, რომელიც მან ორჯერ შეცვალა გამოძიების პერიოდში, რაც ასევე კანონდარღვევაა. თავდაპირველად ის არ ასახელებდა, არ აღწერდა სიტუაციას იმისა, თუ რა ფორმით მიიღო დაზიანებები, მას სურდა, რომ აღნიშნული საქმე არ გახმაურებულიყო, თუმცა მე, როგორც მომწმემ, იმავე საღამოს მივეცი ჩვენება გამომძიებელს და აღვუწერე ყველა ის დეტალი, რაც ვნახე. როდესაც ტყემალაძემ ეს შეიტყო, ვერსია შეცვალა, მაგრამ არ უთქვამს, რომ ჭრილობები მე მივაყენე. მან ეს მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიტყო, რომ ჩემს პოზიციას გამომძიებელთან არ ვცვლიდი. თუ ვიკითხავთ იმას, თუ რატომ გააკეთა ეს ტყემალაძემ, მარტივად მივხვდებით, რომ მას „სასიცოცხლოდ" არ სურდა აღნიშნული დეტალების დაფიქსირება, თუ რატომ დასაფიქრებელი სწორედ ეს არის. რაც შეეხება უშუალოდ სამართლებრივად განვითრებულ მოვლენებს, საქმე იმაშია, რომ 2006 წელს, საერთოდ ამ პერიოდში, უპასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საგამოძიებო სტრუქტურებში საქმის გახსნისა და წარმოების საკითხებს (კონკრეტული მაგალითისათვის: როდესაც გამომძიებელს შევთავაზე ფოტო-რობოტების შედგენა იმ ოთხი პიროვნებიდან, უშუალოდ ორის, რომლის სახის ამოცნობაც შემეძლო, მათ „სიცილი" დაიწყეს და შემდეგნაირად მომმართეს: „სად ვეძებოით ამხელა თბილისში, ვიღაც გაურკვეველი ოთხი პიროვნება, ან, რატომ, როდესაც არსებობს დაზარალებული, რომელიც ხელს გადებს?!"

ამას მოჰყვა სასამართლო სისტემის უსუსურობა. მოგეხსენებათ, სასამართლო ხელისუფლება პირდაპირ იყო დაკავშირებული პროკურატურასთან და მათთვის საგამოძიებო პროცესში დაშვებული შეცდომის აღიარება მიუღებელი იყო. სწორედ ეს გახდა მთავარი საფუძველი იმ სქემისა, რომელიც ამ საქმის ირგვლივ შეიქმნა.

***– დალი მეტრეველი პოზიცია, რომელიც „გურიანიუსმა" გაახმაურა, ჩემი აზრით, გაღმა შედავების პრინციპზეა აგებული, გამოღმა რომ მაინც დარჩეს. ანუ თავდაცვისათვის ყველაზე უკეთესი თავდასხმაა, მისი აზრით?***

– იცით, ჩემი აზრით, მისი განაცხადი თავდაცვადაც არ გამოდგება და მით უფრო – თავდასხმად.

***– რას ეტყოდით „ახალი თაობის" ფურცლებიდან ქალბატონ დალი მეტრეველს?***

– მოვახდენ ჩემივე განაცხადის ციტირებას: „გულწრფელად გიხდით მადლობას, კეთილი სურვილისათვის და მადლობელი ვარ იმ დახმარებისთვის, რომელიც გამიწიეთ. თქვენ ყოველთვის იყავით, ხართ და იქნებით ჩემთვის საუკეთესო მაგალითი იმისა თუ როგორი არ უნდა იყოს მოსამართლე."

***– სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლა შენს თავზე გამოცდილმა უსამართლობამ გადაგაწყვეტინა?***

– დიახ, თუმცა არამარტო. სამართალმცოდნეობის დაუფლება ჩემთვის შინაგანი ტკივილის დაამებას და ზოგადად სამართლინობის სამსახურში ყოფნას ემსახურება. მინდა, რომ თავი ამ პროფესიას მივუძღვნა, რადგან მხოლოდ ამ სფეროში ვხედავ ჩემს სულიერ სიმშვიდეს.

# ვინ დაიცავს მომსახურე პერსონალის უფლებებს

მერი ნამორაძე

რამდენად გამართული და ეფექტიანი იქნება სოციალური სახლების მუშაობა იქ მომსახურე პერსონალის უფლებების დაცვის გარეშე? პრევენციის ეროვნული მექანიზმის ყველა იმ ანგარიშში, რომელიც სოციალურ სახლებს ეხება, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაწესებულებებში მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პერსონალის შრომითი უფლებების დაცვას. იმ მრავალ პრობლემათაგან, რომელიც პერსონალს თავისი ვალდებულებების შესრულებაში უშლის ხელს, ძირითადი არასათანადო სამუშაო პირობები, შრომის ანაზღაურების სიმცირე და კომპეტენციის ამაღლების საჭიროებაა.

მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებაში, სადაც 65 ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციარია, მხოლოდ 13 მზრუნველი და 4 დამხმარე პერსონალია. თუმცა, ცვლაში 65 ბენეფიციარის მომვლელად ერთდროულად მხოლოდ 3 მზრუნველი ქალი რჩება. ღამის განმავლობაში 4 სართულიანი პანსიონატის შენობაში, თითო სართულზე მხოლოდ თითო მომვლელის ამარა იმყოფებიან ბენეფიციარები. როდესაც ბენეფიციარებს ფსიქიკური აგზნების ეპიზოდი აქვთ, ერთი მომვლელი ქალი ვერ უმკლავდება მათ გამომწვევ ქცევას და ფსიქიატრის ჩარევამდე ადგილი აქვს სხვა ბენეფიციარებისა და პერსონალის მიმართ ფიზიკურ ძალადობას. სახალხო დამცველის ანგარიშში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებს ეხება, ნათქვამია, რომ როცა პერსონალის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ სართულზე იწყება ბენეფიციარებს შორის აგრესია, ამ სართულზე მყოფი მომვლელი ხმამაღალი ყვირილით ითხოვს დახმარებას, რადგან უსაფრთხოების უზრუნველყოფის კომუნიკაცია, მაგალითად, ღილაკი, არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში დანარჩენი ორი მომვლელი ტოვებს თავის სართულს და მიდის მესამე მომვლელის დასახმარებლად. სწორედ ამ დროს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბენეფიციარები ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ფსიქოლოგის გადმოცემით, იგი ვერ ახერხებს „აგრესიულ ბენეფიციარებთან" მუშაობას. შესაბამისად, რჩება 3 მომვლელი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მათი და ბენეფიციარების სხეულის სერიოზულ დაზიანებას და სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს.

სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, რომ პერსონალი პროფესიული გადაწვის რისკის ქვეშ იმყოფება და მათი მხრიდან ხარისხიანი მოვლის უზრუნველყოფის მოლოდინი არავის უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა მათი ანაზღაურება შეადგენს 400 ლარს და ყოველ მესამე დღეს ცვლაში ღამეს ათენებენ.

ამას ემატება ისიც, რომ მომსახურე პერსონალს არ აქვს სამსახურის მიერ უზრუნველყოფილი სამედიცინო დაზღვევა მიყენებული ტრავმების სამკურნალოდ. იგივე ვითარებაა სხვა სოციალურ სახლებშიც. დუშეთის პანსიონატის მომვლელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათთვის ყველაზე რთული მძიმეწონიანი ბენეფიციარების მოვლაა. ხშირად 3 მომვლელ ქალს ერთად უწევს ბენეფიციარის გადაყვანა საწოლიდან ეტლში, ეტლიდან აბაზანაში, რა დროსაც ისინი ხერხემლის ტრავმას იღებენ. არადა ევროპის მრავალ ქვეყანაში ბენეფიციართა ხელით აწევა და გადაყვანა აკრძალულია კანონმდებლობით თავად ბენეფიციართა უსაფრთხოების დარღვევის გაზრდილი რისკიდან გამომდინარე. ხერხემლის პრობლემების მქონე პერსონალი დიდი ალბათობით ვერ მოახერხებს უნარშეზღუდულის უსაფრთხოდ გადაყვანას, რაც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში ამბობენ, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის უფლებების დაცვა, მათ შორის პერსონალის ადეკვატური რაოდენობის უზრუნველყოფა, რათა უსაფრთხოება იქნას დაცული. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროფესიული გადაწვის პრევენცია და ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციის შემოღება, რითიც უკეთესად მოწესრიგდება ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვისა და მათზე ზრუნვის უზრუნველყოფის საკითხი.

# „იპოთეკის ყველა ხელშეკრულებას კრიმინალის სუნი ასდის"

დასაწყისი მე-6 გვერდზე

***– რის თაობაზე გამოთქვით ეჭვი?***

– ჩვენ ეჭვი გამოვთქვით, რომ ეს ხალხი გადასახადებს არ იხდიდა, გადახდის შემდეგ ქვითარს არ აძლევდა და თანხები საშინლად გაუზარდა.

***– ანუ საუბარია იმ პირებზე, ვინც ფული გასცა?***

– ისინი, ვინც ეს იპოთეკა გააკეთეს, ჩვენ მათ ვადანაშაულებთ. როგორც ჩანს, ახლა ძალიან მძიმედ მიიღეს ჩვენი განცხადება. ძალიან მაინტერესებს, რისთვის უნდა გვიჩივლონ იმ პირებმა, ვინც ეს განცხადება გააკეთეს. თუ რამე არასწორადაა, ამას პროკურატურა დაადგენს. ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმპცია არ დაგვირღვევია, არ გვითქვამს, რომ ისინი დამნაშავეები არიან. ჩვენ ვთქვით, რომ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დანაშაულია ჩადენილი და პროკურატურას მოვუწოდეთ, გამოიძიოს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვმოქმედებთ კანონის სრული დაცვით. ახლა პროკურატურამ უნდა გაარკვიოს ეს საკითხი. მათ მსგავსად ძალიან ბევრი იპოთეკარი იქცეოდა. აქამდე ხელისუფლება კერძო იპოთეკარებს არ ამოწმებდა. გახსოვთ, მალაზიის გამყიდველებს ქვითრის მიუცემლობის გამო ხუთ ლარზე რომ აჯარიმებდნენ? კერძო იპოთეკარები მილიონობით თანხებს ატრიალებენ და, რეალურად, გადასახადებს არ იხდიდნენ ბიუჯეტში.

***– მეორე მხრივ, კერძო იპოთეკარებსა და ამ ხალხს შორის გარიგება ნებაყოფლობითი ხომ იყო?***

– შეთანხმება ნებაყოფლობითი იყო და სანაცვლოდ სახლები ისე ჩადეს, მაგრამ როდესაც ხელშეკრულება გაფორმდა, ბევრ შემთხვევაში შემდეგ მოხდა კრიმინალი, რადგან იპოთეკარები ზედმეტ თანხებს ითხოვდნენ. ესენი რასაც იხდიდნენ, არაფერი შეჰქონდათ ბიუჯეტში. მერე ხალხს არ ატყობინებდნენ, რომ მათ ბინებს ყიდდნენ. ისინი კერძო აღმასრულებლებთან იყვნენ შეკრულები და ისინი ახდენდნენ აღსრულებას ისე, რომ წინასწარ არ აფრთხილებდნენ. რეალურად არ იცოდა იმ ადამიანმა, რომ მისი სახლი, მისი საკუთრება აუქციონზე გადიოდა. რამდენიმე დაზარალებულთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს და მალე გამოიკვეთება დარღვევები. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა იპოთეკარზე ეჭვია და ყველა იპოთეკის ხელშეკრულებას კრიმინალის სუნი ასდის.

# გორის თეატრში სამ პრემიერაზე მუშაობენ

ეკა ირემაშვილი

გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში ერთდროულად სამ პრემიერაზე მუშაობენ. როგორც თეატრის ხელმძღვანელმა რეჟისორმა სოსო ნემსაძემ „ახალ თაობას“ განუცხადა, სამი რეჟისორი ჟანრობრივად რადიკალურად განსხვავებულ სპექტაკლებზე მუშაობს. სოსო ნემსაძე, ვატო ჯუღელი და ხათუნა-ქეთევან ბედელაძე თეატრის დასთან ერთად ახალ წარმოდგენებს ამზადებენ. რეპეტიციები მიმდინარეობს ყველგან – სცენაზე, ფოიეში, დერეფანში. რეჟისორები მსახიობებს ვერ იყოფენ. დასი თეატრის საერთაშორისო დღისთვისაც ემზადება. პარალელურად კი შენობის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს.



პირველი სპექტაკლის პრემიერა 25 მარტს გაიმართება. რეჟისორი ხათუნა-ქეთევან ბედელაძე პატარა მაყურებლისთვის საბავშვო სპექტაკლს წარმოადგენს. მას შეენაცვლება ახალგაზრდა რეჟისორის ვატო ჯუღელის კომედია, ხოლო საპრემიერო ეიფორიას დააგვირგვინებს თეატრის ხელმძღვანელის სოსო ნემსაძის სპექტაკლი, რომელიც უკვე მიწვეულია უკრაინაში თეატრალურ ფესტივალზე.

**სოსო ნემსაძე, რეჟისორი, გორის თეატრის ხელმძღვანელი:**

– თეატრში ამჟამად რემონტი მიმდინარეობს. ჩვენი თეატრი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. 2004 წლის შემდეგ არის ავარიულ მდგომარეობაში და 2008 წლის ომმა, საბოლოოდ გაანადგურა. თეატრში მუშაობა წარმოუდგენელი იყო, მხოლოდ მცირე დარბაზი ფუნქციონირებდა. ტენდერი გამოცხადდა მაისის თვეში და გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო სარემონტო სამუშაოები, არქიტექტურაც უკვე მომზადებულია. იმდენად აქტიურია მაყურებელი გორში, არ მინდა მივცეთ თავს იმის უფლება, რომ რადგან თეატრში რემონტია, არ არის სიტუაცია, შემოქმედებითი პროცესები აქტიური იყოს, ანუ რემონტს არ ვაძლევთ შეფერხების უფლებას. პირიქით, გაორმაგებული ძალებით ვმუშაობთ.

***– თეატრი საფუძვლიანად რემონტდება?***

– ეს არის შიდა სარემონტო სამუშაოები, გარე ფასადს არ ვეხებით, ის იქნება პირვანდელი სახით, ეს პროცესი ცოტა შორს არის, გარე ფასადის მოწესრიგებას ერთი იმდენი ბიუჯეტი სჭირდება, რაც არ გვაქვს. ამჟამად კეთდება დიდი სცენა, რომელიც იქნება შესაბამის თანამედროვე საშუალებებთან მაქსიმალურად მიახლოებული, საგრიმიოროები იქნება მაქსიმალურად მოწყობილი, რომ მსახიობებმა კომფორტულად იგრძნონ თავი და ასევე ჩამოსულმა სტუმრებმა. განახლდება განათების და გახმოვანების აპარატურაც. ეს არ იქნება ძალიან სუპერთანამედროვე, მაგრამ ის, რაც დღეს ქართულ თეატრებში არსებობს, იმ შესაძლებლობებთან იქნება მიახლოებული.

***– ამაში გორის ხელმძღვანელობა გეხმარებათ თუ კულტურის სამინისტრო?***

– გორის მუნიციპალიტეტია ამ საქმეში ჩართული. დაახლოებით 1.200.000 ლარია გამოყოფილი და ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე ასრულებს სარემონტო სამუშაოებს.

***– ახლა რა ეტაპზეა სარემონტო სამუშაოები?***

– ფინალამდე ჯერ კიდევ შორს ვართ, იმიტომ რომ ძალიან რთულ მდგომარეობაშია ჩვენი თეატრი. საქართველოს თითქმის ყველა თეატრი მაქვს მოვლილი და ასეთ სავალალო მდგომარეობაში არც ერთი თეატრი არ არის. გორის თეატრს ნამდვილად სჭირდება ყურადღება. ამ ეტაპზე კეთდება მხოლოდ და მხოლოდ საგრიმიოროები და შემდეგ გადადიან სცენაზე, სახურავიც მთლიანად გამოსაცვლელია, ნელ-ნელა ეტაპობრივად მივდივართ ფინალისკენ, ალბათ შემოდგომაზე დასრულდება სარემონტო სამუშაოები, მანამდე იმედი არ მაქვს. ეს არ არის კოსმეტიკური რემონტი, ეს არის საფუძვლიანი რემონტი, სცენის კონსტრუქცია მთლიანად იცვლება, განათება-გახმოვანებაც მთლიანად ახალი მონტაჟდება და საკმაოდ კარგი პირობები ექნებათ როგორც მსახიობებს, ასევე მაყურებლებს.

***– და ამ ყველაფრის ფონზე სამ სპექტაკლზე მუშაობთ?***

– დიახ, ამ ყველაფრის ფონზე სამ ახალ სპექტაკლზე ვმუშაობთ. გაჯისა და მტვერის სურნელი აგვდის ყველას. სცენის მტვერი ხომ ჩავყლაპეთ, ახლა გაჯის მტვერს ვყლაპავთ. ამ მხრივ მსახიობები ცოტა აგვიწუწუნდნენ, მაგრამ კარგად ესმით, რომ ყველაფერი ისევ მათთვის კეთდება და ისინიც გაგებით ეკიდებიან, რადგან მათი საყვარელი თეატრი გარემონტდება და გალამაზდება. შარშან ჩვენ მოვახერხეთ და 7 პრემიერა ვითამაშეთ. გვინდა წელსაც ვიაქტიუროთ და მაყურებელს ახალი წარმოდგენები შევთავაზოთ. მაყურებლისგან ისეთი აქტიურობა იყო, ასეთი თეატრალური ქალაქი მეორე არ არსებობს საქართველოში. გორში ძალიან უყვართ თეატრი და ამ სიყვარულს სათანადო პასუხი სჭირდება, მრავალფეროვანი რეპერტუარია საჭირო. შარშან დავაფიქსირე მაყურებლის მოთხოვნა – ძირითადი მოთხოვნა არის კომედიებზე და საბავშვო სპექტაკლზე, თუმცა არც ფსიქოლოგიურ დრამას ვუჩივით. აქედან გამომდინარე, ჩვენ პირველ რიგში ჩავუშვით საბავშვო თეატრი, რადგან თეატრის სიყვარული იწყება ბავშვობიდან და ჩვენი პირველი ამოცანაა ბავშვები „შემოვიტყუოთ“ ამ საოცარ გარემოში, სადაც თვითონ ძალიან კარგად იგრძნობენ თავს. ჩემი ბავშვობა რომ მახსენდება, პირველად თეატრში რომ ვიყავი, შოკირებული დავბრუნდი სახლში. რასაც ტელევიზორში ვუყურებდი, სულ სხვა საოცრება დამხვდა თეატრში და ეს ვერაფერმა შეცვალა. არ მინდა ეს ბედნიერება მოვაკლო ჩემს გორელ ბავშვებს. შარშან „კომბლე“ დავდგით და მაშინ ვკითხე, რა გინდათ კიდევ რომ გავაკეთოთ-მეთქი და ახლა „ნაცარქექია“ გვინდაო. აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი, როცა ადამიანმა იცის „კომბლე“ და „ნაცარქექია“, ეს ძალიან კარგია, მაგრამ სასურველია იცოდეს სხვა ზღაპრებიც. ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ ჰოლანდიელი ავტორის ზღაპარზე. გასაგებია, რომ „კომბლე“ და „ნაცარქექია“ მათთვის ძალიან ახლობელია, მაგრამ მინდა ევროპული ზღაპრებიც შემოვიდეს ჩვენს რეპერტუარში, რომ ბავშვების ცოდნის დიაპაზონი გაფართოვდეს და არ მოიცავდეს მხოლოდ ქართულ ზღაპრებს, რომლებიც ყოველდღიურად ესმით და მშობლებიც უკითხავენ. ხათუნა ბედელაძემ აირჩია ზღაპარი „ჰიპი“, რომელიც ბავშვებისთვისაც არის და დიდებისთვისაც, ამიტომ ორ კურდღელს ვიჭერთ ამ შემთხვევაში. ძალიან მონდომებული მუშაობს რეჟისორი, ძალიან ხშირად ერთიმეორის სპექტაკლებზე დავდივართ, ჩვენს შემოქმედებას ანალიზს ვუკეთებთ და პასუხისმგებლობა არის მაღალი, როცა მეგობრები საქმეში „ვცდით“ ერთმანეთს, უფრო სწორად ვთანამშრომლობთ. ხათუნა ძალიან მონდომებულია, კარგი რეჟისორია და კარგად დაინახა ეს ზღაპარი, მან მართლა კარგად იცის ბავშვების ენა.

***– თქვენ რატომ არ დადგით ზღაპარი?***

– გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, რომ საკუთარ შვილსაც ვერ ვუყვები ზღაპარს. არ ვიცი ამას რა ჰქვია, მაგრამ მიჭირს ბავშვებთან საერთო ენის გამონახვა. ბავშვებს ბავშვურ ენაზე უნდა ელაპარაკო და ეს ენა ნაკლებად მესმის. ვინაიდან ხათუნა ქალია, მან უკეთესად იცის ბავშვების ენა და ზღაპრის დადგმის ასპარეზი ხათუნას დავუთმეთ.

***– ვატო ჯუღელი რაზე მუშაობს?***

– ახალგაზრდა რეჟისორი ვატო ჯუღელი დგამს კომედიას, რომელიც თეატრალურ უნივერსიტეტში ნუკრი ქანთარიას ასისტენტია. მინდა, რომ მისი შესაძლებლობები არა მარტო აუდიტორიაში დაიხარჯოს, არამედ მოხდეს მისი რეალიზაცია თეატრში. სხვა სივრცეა აუდიტორია და სულ სხვა სივრცეა თეატრში. რადგან მაქვს კავშირი თეატრალურ უნივერსიტეტთან, ვცდილობ ახალგაზრდა რეჟისორები მაქსიმალურად დავაკავო თეატრში, რომ მათ მიიღონ გარკვეული პრაქტიკა და გამოცდილება, რათა ხვალ თუ ზეგ ჩაიბარონ სხვადასხვა ქართული თეატრები.

***– თქვენ რას დგამთ?***

– ამჯერად ნოტ დომის პიესა ავარჩიე. ის საკმაოდ მოდური დრამატურგია და ხშირად იდგმება ევროპაში. ვმუშაობ მის პიესაზე „საწვავი“.

***– და ამით საწვავის მაღალ ფასებს გააპროტესტებთ?***

– არა. არავითარი კავშირი არ აქვს ამ პიესას ბენზინთან, ყველამ ლოგიკურად ეს პიესა საწვავთან და ბენზინთან რომ არ დააკავშიროს, ამ სპექტაკლის პატარა ფაბულას მოგიყვებით. ვინაიდან ჩვენმა ქალაქმა გორმა გადაიტანა ომი, ზუსტად იგივე პრობლემაა პიესაშიც. სამი მოქმედი პირია – პროფესორი და ორი მისი შეგირდი, გოგო და ვაჟი. მძვინვარებს ომი მათ ქალაქში, ცივა, ზამთარია, შემოელევათ საწვავი და ისინი გადაწყვეტენ, რომ დაწვან წიგნები. ამ პიესაში საკმაოდ დამაფიქრებელი მოვლენებია ასახული – რა უფრო საშიშია, ომის საშინელება თუ ადამიანის ასეთი საქციელი?! ომმა ზოგადად ამ დონემდეც კი შეიძლება მიიყვანოს ადამიანი. ომის დროს ბევრი განშტოებებია, ერთ-ერთი საშინელება ის არის, რომ ომი ებრძვის ინტელექტუალურ განვითარებას, მას თავისუფლად შეუძლია გაიმეტოს როგორც ადამიანები, ასევე მათი საზრდო – წიგნები, თუმცა წიგნების დაწვამდე ძალიან ბევრი ფსიქოლოგიური სტრესი აქვს ადამიანს გასავლელი ომის დროს. ამ პიესაში კი იმდენად უმთავრესია ადამიანური მომენტი, რომ მისი გმირები წიგნების დასაწვავადაც მზად არიან. წიგნების ინტერესი კი აქვთ, მაგრამ პიროვნული მომენტია უმთავრესი და ყველაფერს იმეტებენ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ სიცოცხლე და ზუსტად ამ მომენტში ისინი ემსგავსებიან ცხოველს. ეგ არის ყველაზე დიდი უბედურება, რომ ომი პირუტყვების მდგომარეობაში გვაქცევს ადამიანებს. ჩვენ გვინდა ეს სპექტაკლი საქართველოს ფარგლებს გარეთად ვითამაშოთ.

***– სად წაიღებთ ამ სპექტაკლს?***

– ეს სპექტაკლი მიგვაქვს უკრაინაში და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჩვენ პრემიერა სწორედ უკრაინაში ვითამაშოთ და არა გორში.

***– სამეულიდან პირველი პრემიერა თქვენ გექნებათ?***

– არა. პირველი სპექტაკლის პრემიერა იქნება ხათუნა ბედელაძის ნამუშევარი. ვერანაირ ფესტივალზე წინ ვერ დავაყენებთ ჩვენს პატარებს და პირველად მათთვის ვითამაშებთ. 25 მარტს გვაქვს პრემიერა, ეს იქნება საქველმოქმედო სპექტაკლი და ბილეთებიდან გაყიდული თანხა ახალგაზრდა მსახიობის გიორგი ყორღანაშვილის ანგარიშზე გადაირიცხება. ჩემი პატარები თავის მშობლებთან ერთად ამ ახალგაზრდას დაეხმარებიან, რომ იცოცხლოს. ეს კარგია, თან ისიამოვნებენ, თან გიორგის დაეხმარებიან. აქ არც ერთმა თეატრმა არ უნდა დაიშუროს თავისი ძალები და არც უნდა დაფიქრდეს, ჩაერთოს თუ არა ამ აქციაში. პირველ რიგში ჩვენ ვართ ადამიანები, ჩვენ ვაკეთებთ სპექტაკლებს და ამით ვსულდგმულობთ. თუკი ამას ცხოვრებაში არ გამოვიყენებთ, მაშინ ეს ყველაფერი ფარსი და ყალბი ყოფილა.

მეორე სპექტაკლი იქნება ვატო ჯუღელის კომედია და მესამე იქნება ჩემი. ვატო ჯუღელი მუშაობს თურქული პიესის მოტივზე, მაგრამ ქართული ვარიანტია. თუკი ვინმე მყავს კომედიურ ჟანრში მსახიობი, ყველა მასთან მუშაობს. დასი იმდენად არის დაკავებული, რომ რეჟისორები მსახიობებს ველარ ვიყოფთ და ერთმა ენამოსწრებულმა მსახიობმა ისიც კი თქვა, რეჟისორები იმდენია უკვე გორის თეატრში, სცენის მუშაში გვერევაო.

***– გორის თეატრის დასი გყოფნით სამ რეჟისორს, თუ გიწევთ თბილისიდან მსახიობების მიწვევა?***

– გვიწევს მსახიობების მიწვევა, რადგან რეალურად დასი მთლიანად დაკავებულია, აქედან გამომდინარე, ალბათ ორი მსახიობის მოწვევა მოგვიწევს, რადგან გორის თეატრში მსახიობი უკვე დეფიციტი გახდა.

**მაყვალა არაყიშვილის მემკვიდრეთა საყურადღებოდ**

06.08.2006 წ.-ს გარდაცვლილი **მაყვალა არაყიშვილის (დაბადების თარიღი: 15.08.1923 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ლელა ინწკირველთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ლელა ინწკირველს მიმართეთ 20.04.2013 წ.-მდე.**

**განცხადებები**

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599978546.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: LBRTGE22**
**ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

# ლიდერების და იმერლების უგოლობით ჩიხურამ ისარგებლა

**დინამო (თბ) – დილა 0:0**

დინამო: ლორია, შაშიაშვილი, გ.კვარაცხელია, უსტარიცი, მილხრაუმი, ხმალაძე (გრაიციარი 64), პაპავა, ალვარო, მერებაშვილი (ტატანაშვილი 90), ჩისკო, დვალი (გლიშიჩი 82)

დილა: შეყრილაძე, ალადაშვილი, კვახაძე, თოთაძე, კვირკველია, გვალია, მაისურაძე, გოგუა, კახელიშვილი (ჯიშკარიანი 83), ილურიძე (ლეონარდო 65), ჟუნიორი (მოდებაძე 80)

საინტერესო, თუმცა უგოლო თამაშმა გუნდებს შორის სხვაობა უცვლელი დატოვა. არავინ იცის ეს ვის წისქვილზე დაასხავს წყალს საჩემპიონო ბრძოლაში, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ მცირე უპირატესობას „დილას" აძლევს. ეს ყველაფერი იმის მიუხედავად, რომ „დინამო" ჯერ კიდევ 3 ქულით უსწრებს მეტოქეს. რატომ „დილას"? ჩანს, რომ ამ გუნდებზე ქულების წართმევა რთული იქნება, ორივე გაცილებით საინტერესო ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე სხვა დანარჩენი. ყველაფერს, სავარაუდოდ, გორში გამართული მატჩი გადაწყვეტს და თუ გავითვალისწინებთ, რომ „დინამოს" სტუმრად თამაში უჭირს, მით უფრო პრინციპულ მეტოქესთან, სწორედ ამიტომ ჩანს გორელთა უპირატესობა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე „დილასაც" აღარ აქვს წაფორხილების უფლება.

მატჩი ლოგიკურად დასრულდა, მაგრამ თუ ვინმეს მოსაგები ჰქონდა, ეს „დილა" უფრო იყო. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გორელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, რასაც „დინამომ" ვერაფრით უპასუხა.

გიორგი კახელიშვილმა ორი მომენტი გააცუდა – ჯერ ლორიას შეცდომით ვერ ისარგებლა, შემდეგ გიორგი ილურიძე გაძვრა ორ დინამოელს შორის და დაფარული პასი გაუკეთა კახელიშვილს, რომელმაც ოდნავ მახვილი კუთხიდან ააცილა. იქვე გოგიტა გოგუას დარტყმული მოიგერია გიორგი ლორიამ და ბოლოს კახა ალადაშვილს ჩაწოდებულ ბურთს ბრაზილიელმა ნათან ჟუნიორმა დაჰკრა თავი და ოდნავ უზუსტოდ.

შემდეგ კი თამაში გათანაბრდა. „დინამომაც" რამდენჯერმე სცადა გამწვავება, თუმცა მეკარე ბექა შეყრილაძე პირველ ტაიმში თამაშში სერიოზულად არ ჩართულა.

შეყრილაძეს პირველად 55-ე წუთზე მოუწია ბურთის მოგერიება, როცა ლევან ხმალაძემ დაარტყა, მაგრამ არცთუ სახიფათოდ. მე-60 წუთზე ჩისკო წაიქცა მეტოქის საჯარიმოში და დინამოელები პენალტს ითხოვდნენ.

„დინამომ" ბოლო 8-10 წუთში შეუტია და ერთი კარგი მომენტიც შეექმნა, როცა არეულობისას პეტერ გრაიციარს დარტყმა არ აცალეს. ლაშა თოთაძემ იყოჩაღა, ვარდნაში დაასწრო ჩეხს და უეჭველ გოლს გადაარჩინა „დილა".

### მატჩის შემდეგ

**დუშან უჰრინი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– ჩვენთვის ძალზედ რთული თამაში იყო. პირველივე წუთიდან ვცდილობდით ინიციატივა ჩვენს ხელთ ყოფილიყო. შემდეგ უპირატესობას მეტოქე დაეუფლა. მატჩის პირველი თხუთმეტი წუთი კარგად დავიწყეთ, თუმცა გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. მეორე ნახევარში თამაშის მიმდინარეობას ჩვენ ვაკონტროლებდით და ბოლო ათ წუთში გოლის გატანაც შეგვეძლო – მაგრამ ვერ მოვახერხეთ. შეგვეძლო ამ თამაშის მოგებაც და წაგებაც, აქედან გამომდინარე ფრე ნორმალურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

**ვალდას ივანაუსკასი, დილას მთავარი მწვრთნელი:**

– ვფიქრობ, რომ ასეთ თამაშებით ქართული ფეხბურთი დარჩება გამარჯვებული. მსგავს შეხვედრებში ფეხბურთელებისა და გუნდების სათამაშო კლასი კიდევ უფრო მაღლდება. დღეს საქართველოს ორი საუკეთესო გუნდი თამაშობდა. ეს იყო ექვსქულიანი თამაში და ამ მატჩის მოგების შემთხვევაში ერთ-ერთი გუნდი რვა ტურით ადრე განსაკუთრებულ უპირატესობას იღებდა. სტუმრად აღებული ერთი ქულა ცუდი არ არის. მეტოქის სტანდარტებს ყურადღებით ვეკიდებოდით, ვინაიდან დინამო ამ კომპონენტში სახიფათო იყო. საჩემპიონო ბრძოლა გრძელდება, წინ სანაკრებო პაუზაა და ის ფეხბურთელები რომლებსაც მიკრო ტრავმები აქვთ, მალე საბოლოოდ გამოჯანმრთელდებიან და ჩემპიონატი კიდევ უფრო საინტერესოდ გაგრძელდება.



**ზესტაფონი – ტორპედო 0:0**

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, ლოსანო, იელიჩი, თედორე გრიგალაშვილი, ღონღაძე, გორგიაშვილი (პეტკოვი 63), აფციაური, რაჟამაშვილი (ენდელაძე 46), კუტალია (რეკრუკი 82), ბოტი დემელი

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ზ.ჭელიძე, გ.ონიანი, ტაბატაძე, გიგაური, გ.გურული, გ.დათუნაიშვილი, საბანაძე (კუხიანიძე 79), ტუღუში, დოლიძე (ფანცულაია 55), ბერიაშვილი (ე.გრიგალაშვილი 65)

თავად მატჩი ზესტაფონელთა იერიშებით დაიწყო. პირველი ტაიმის პირველ ნახევარში მასპინძლები ბურთსაც აკონტროლებდნენ, ტერიტორიასაც და რამდენიმე სახიფათო შეტევის განხორციელებაც მოახერხეს ქუთათურთა კართან – მატჩის დებიუტში, მას შემდეგ რას „ტორპედოს" მცველს ბურთი უხერხულად აეჭრა, უსიამოვნებებისაგან საკუთარი კარი ომარ მიგინეიშვილმა იხსნა, მერე კი კარის აღების შანსები ბოტი გოა დემელსა, თორნიკე აფციაურსა და თედორე გრიგალაშვილს მიეცათ, თუმცა ზესტაფონელებს ხან სიზუსტე აკლდათ, ხანაც სტუმართა გოლკიპერი და მცველები თამაშობდნენ საიმედოდ. ტაიმის შუაწელიდან მოყოლებული თამაში თანდათანობით გათანაბრდა. ქუთაისელებმა სტანდარტებითა და შორიდან დარტყმებით სცადეს როინ კვასხვაძისათვის უსიამოვნებების შექმნა, თუმცა სტუმართა ამ მცდელობებს ზესტაფონელთა მეკარე დიდად არ აუღელვებია. ტაიმის მიწურულს გუნდებმა მომენტები გაცვალეს – გიორგი ბერიაშვილის ძალიან სახიფათო ჩაწოდებას სათანადოდ მისი პარტნიორები ვერ გამოეხმაურნენ, ხოლო დავით რაჟამაშვილის ქუთაისელთა კართან კარგი ჩაწოდების შემდეგ კი მოსალოდნელი ხიფათი ომარ მიგინეიშვილმა ჩაშალა.

მეორე ტაიმი მასპინძელთა იერიშებით წარიმართა, ქუთათურები კი ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვით იყვნენ დაკავებულნი. მასპინძელთა მხრიდან გოლის გატანის კარგი შესაძლებლობები ბოტი გოას, ავთო ენდელაძეს, ლევან კუტალიასა და თორნიკე აფციაურს მიეცათ, თუმცა საბოლოოდ იმერული დერბი, რომელიც დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის სველ გაზონზე საკმაოდ სანახაობრივ და დაძაბულ ბრძოლაში გაილია, თუმცა უგოლოდ დასრულდა.

**ზუგდიდი – ჩიხურა 1:3**

**განმუხური.** ცენტრალური

1:0 ეხვაია (26), 1:1 დეკანოიძე (67), 1:2 კვასხვაძე (80), 1:3 დეკანოიძე (90)

**ზუგდიდი:** ძაგანია, კანკია (კუკავა 86), აფაქიძე, აქუბარდია, რ.ონიანი, წურწუმია, სიხარულია, გუგუჩია (ხუბუა 70), ეხვაია, შ.ლომია (ქობალია 76), გაბედავა

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, საჯაია, რეხვიაშვილი, კაშია, დიღმელაშვილი, ლომაშვილი (გოცირიძე 66), ბოლქვაძე, კირკიტაძე (ძამსაშვილი 84), დეკანოიძე, კვასხვაძე

დასუსტებულმა „ზუგდიდმა" იმდენი მოახერხა, რომ დასაწყისში დაწინაურდა და თითქოს სენსაციის სუნიც გამოაცხო, მაგრამ სოსო ფრუიძის გაწვრთნილმა „ჩიხურამ" მაინც მოახერხა დაგეგმილი 3 ქულის აღება და „ტორპედოს" ქულებით წამოეწია.

საჩხერელთაგან გამოსარჩევი ბესიკ დეკანოიძეა, რომელმაც ეხვაიას გატანილი ბურთი გაქვითა, ბოლოს კი დუბლიც შეასრულა. მანამდე კი სტუმრები ნიკო კვასხვაძემ დააწინაურა.

### სატურნირო ცხრილი 1-6 ადგილებისთვის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 24 | 17 | 5 | 2 | 66:19 | 56 |
| 2.დილა | 24 | 17 | 2 | 5 | 38:16 | 53 |
| 3.ტორპედო | 24 | 14 | 5 | 5 | 41:18 | 47 |
| 4.ჩიხურა | 24 | 14 | 5 | 5 | 38:22 | 47 |
| 5.ზესტაფონი | 24 | 11 | 5 | 8 | 31:22 | 38 |
| 6.ზუგდიდი | 24 | 10 | 5 | 9 | 28:32 | 35 |

**მეტალურგი–მერანი 1:1(1:1)**

**რუსთავი.** ფოლადი

1:0 ლობჟანიძე (20), 1:1 კუჭუხიძე (39)

**მეტალურგი:** ალავიძე, საჯაია, ხაბელაშვილი (ახალკაცი 78), ფიფია, დობროვოლსკი (ქავთარაძე 71), ვ.კვარაცხელია (სიხარულიძე 64), მახვილაძე, რაზმაძე, ინწკირველი ლობჟანიძე, სუხიაშვილი

**მერანი:** შეროზია, იობაშვილი (ღონღაძე 46), ქარქუზაშვილი, მელიავა, გეგეჭკორი, დიდავა, ბუკია, ფონიავა, ტორონჯაძე, კუჭუხიძე, ს.ლომია (კრისი 70)

თითქოს რუსთაველებს არ უნდა გასჭირვებოდათ „მერანის" დამარცხება. იგებდნენ კიდეც ლობჟანიძის გოლით, მაგრამ კუჭუხიძემ მოახერხა გამთანაბრებლის გატანა და სტუმრებს მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა ელიტაში დარჩენისთვის ბრძოლაში.

**დინამო (ბთ) – ვიტ ჯორჯია 2:0**

1:0, 2:0 ბესიკ ჩიმაკაძე (40,90პ)

**დინამო:** პიცანი, ფარტენაძე, ჟვანია, ლობჟანიძე, გაბუნია, მახარაძე, მაკარიანი (დიასამიძე 67), მუჯირი (ცანავა 87), ა.გურული (კიკნაველიძე 84), კოშკაძე, ჩიმაკაძე

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი, დავლაშელიძე (გოგიაშვილი 86), გურეშიძე, ღიბრაძე (ვასაძე 76), კორიფაძე (კუხალეიშვილი 51), ჯანელიძე, გაბრიჭიძე

ბათუმელებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვეს და უმაღლესში დასარჩენად ბრძოლაში საქმე ძალიან გამოიკეთეს. ვეტერინარებს ორივე გოლი ექსთანაგუნდელმა ბესიკ ჩიმაკაძემ გაუტანა.

**კოლხეთი – სიონი 2:1**

1:0 ფარულავა (20), 1:1 მიკუჩაძე (33პ), 2:1 კვანტალიანი (84)

კოლხეთი: ხარშილაძე, გ.კილასონია, ჩადუნელი, ფარულავა, კაკულია, გოგონაია, როსინი (ხოშტარია 86), ზ.ჯანაშია, კრასოვსკი (წაბრია 76), ბუხაიძე (კვანტალიანი 63), მოისწრაფიშვილი

სიონი: ბობლიაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ელიავა, ქემოკლიძე, ჰაიდუჩეკი (ნემსაძე 70), ცხადაია, ლექვთაძე, უგრეხელიძე (ისიანი 82), მიკუჩაძე (გოგატიშვილი 67), ახალაია

„კოლხეთმა" მიმდინარე ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა რამდენად წაადგებათ ზღვისპირელებს ეს სამი ქულა, ჯერ კიდევ გაურკვეველია. სამაგიეროდ, საქმე გაირთულა „სიონმა", მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ ქინ არის.

### სატურნირო ცხრილი 7-12 ადგილებისთვის:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მეტალურგი | 24 | 10 | 5 | 9 | 23:27 | 35 |
| 2.მერანი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:38 | 24 |
| 3.ვიტ ჯორჯია | 24 | 5 | 7 | 12 | 15:33 | 22 |
| 4.სიონი | 24 | 5 | 6 | 13 | 17:40 | 21 |
| 5.დინამო (ბთ) | 24 | 5 | 4 | 15 | 25:47 | 19 |
| 6.კოლხეთი | 24 | 1 | 4 | 19 | 13:45 | 7 |

ბომბარდირები: ჩისკო (დინამო თბ) – 18 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 17; საბა ლომია (მერანი) – 13; ალვარო (დინამო თბ) – 12; ნიკა საბანაძე (ტორპედო) – 10.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ნორვიჩი ............... 1:1
ტოტენჰემი-ფულემი ...................... 0:1
უიგანი-ნიუკასლი .......................... 2:1
ჩელსი-ვესტ ჰემი .......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 29 | 24 | 2 | 3 | 69:31 | 74 |
| 2.სიტი | 29 | 17 | 8 | 4 | 51:26 | 59 |
| 3.ჩელსი | 29 | 16 | 7 | 6 | 58:30 | 55 |
| 4.ტოტენჰემი | 30 | 16 | 6 | 8 | 51:37 | 54 |
| 5.არსენალი | 29 | 14 | 8 | 7 | 55:32 | 50 |
| 6.ევერტონი | 29 | 12 | 12 | 5 | 46:35 | 48 |
| 7.ლივერპული | 30 | 12 | 9 | 9 | 57:39 | 45 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 13 | 5 | 12 | 40:38 | 44 |
| 9.სუონსი | 30 | 10 | 10 | 10 | 40:38 | 40 |
| 10.ფულემი | 29 | 9 | 9 | 11 | 40:44 | 36 |
| 11.სტოკი | 30 | 7 | 13 | 10 | 27:35 | 34 |
| 12.ნორვიჩი | 30 | 7 | 13 | 10 | 28:46 | 34 |
| 13.ნიუკასლი | 30 | 9 | 6 | 15 | 41:52 | 33 |
| 14.ვესტ ჰემი | 29 | 9 | 6 | 14 | 32:43 | 33 |
| 15.სანდერლენდი | 30 | 7 | 10 | 13 | 33:42 | 31 |
| 16.საუთჰემპტონი | 30 | 7 | 10 | 13 | 42:52 | 31 |
| 17.ასტონ ვილა | 30 | 7 | 9 | 14 | 31:56 | 30 |
| 18.უიგანი | 29 | 7 | 6 | 16 | 35:56 | 27 |
| 19.რედინგი | 30 | 5 | 8 | 17 | 35:57 | 23 |
| 20.ქპრ | 30 | 4 | 11 | 15 | 26:48 | 23 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრაიტონი-კრ.პალასი .................. 3:0
ბლექბერნი-ბარნლი ..................... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ესპანიოლი ...................... 0:2
სევილია-სარაგოსა ...................... 4:0
ოსასუნა-ატლეტიკო ..................... 0:2
ბარსელონა-რაიო ........................ 3:1
გრანადა-ლევანტე ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 24 | 2 | 2 | 88:31 | 74 |
| 2.რეალი | 28 | 19 | 4 | 5 | 71:27 | 61 |
| 3.ატლეტიკო | 28 | 19 | 3 | 6 | 50:24 | 60 |
| 4.სოსიედადი | 28 | 13 | 8 | 7 | 49:35 | 47 |
| 5.ვალენსია | 28 | 13 | 6 | 9 | 41:40 | 45 |
| 6.მალაგა | 28 | 12 | 8 | 8 | 38:27 | 44 |
| 7.ბეტისი | 28 | 13 | 4 | 11 | 39:42 | 43 |
| 8.ხეტაფე | 28 | 12 | 6 | 10 | 38:44 | 42 |
| 9.რაიო | 28 | 13 | 2 | 13 | 37:46 | 41 |
| 10.სევილია | 28 | 11 | 5 | 12 | 43:40 | 38 |
| 11.ლევანტე | 28 | 10 | 7 | 11 | 33:41 | 37 |
| 12.ვალიადოლიდი | 28 | 9 | 8 | 11 | 36:38 | 35 |
| 13.ესპანიოლი | 28 | 9 | 8 | 11 | 33:37 | 35 |
| 14.ბილბაო | 28 | 9 | 5 | 14 | 32:51 | 32 |
| 15.ოსასუნა | 28 | 7 | 7 | 14 | 23:32 | 28 |
| 16.გრანადა | 28 | 7 | 7 | 14 | 26:39 | 28 |
| 17.სარაგოსა | 28 | 7 | 5 | 16 | 25:42 | 26 |
| 18.მალიორკა | 28 | 6 | 6 | 16 | 30:55 | 24 |
| 19.სელტა | 28 | 6 | 5 | 17 | 27:41 | 23 |
| 20.დეპორტივო | 28 | 4 | 8 | 16 | 32:59 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-ალმერია ....................... 4:1
მურსია-ლუგო .............................. 0:1
რასინგი-ხერესი ............................ 1:1
ერკულესი-საბადელი ..................... 3:1
ნუმანსია-ელჩე .............................. 3:1
მირანდესი-ალკორკონი ................. 0:2

**იტალია. სერია ა**

სიენა-კალიარი .............................. 0:0
მილანი-პალერმო .......................... 2:0
ნაპოლი-ატალანტა ........................ 3:2
პესკარა-კიევო .............................. 0:2
ფიორენტინა-ჯენოა ...................... 3:2
რომა-პარმა .................................. 2:0
ტორინო-ლაციო ............................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 29 | 20 | 5 | 4 | 57:18 | 65 |
| 2.ნაპოლი | 29 | 16 | 8 | 5 | 50:26 | 56 |
| 3.მილანი | 29 | 16 | 6 | 7 | 52:32 | 54 |
| 4.ფიორენტინა | 29 | 15 | 6 | 8 | 53:35 | 51 |
| 5.რომა | 29 | 14 | 5 | 10 | 60:49 | 47 |
| 6.ინტერი | 28 | 14 | 5 | 9 | 44:37 | 47 |
| 7.ლაციო | 29 | 14 | 5 | 10 | 37:35 | 47 |
| 8.კატანია | 29 | 13 | 6 | 10 | 39:36 | 45 |
| 9.უდინეზე | 29 | 10 | 11 | 8 | 38:38 | 41 |
| 10.სამპდორია | 28 | 10 | 6 | 12 | 35:33 | 35 |
| 11.ბოლონია | 29 | 10 | 5 | 14 | 39:38 | 35 |
| 12.ტორინო | 29 | 8 | 12 | 9 | 34:36 | 35 |
| 13.პარმა | 29 | 9 | 8 | 12 | 36:39 | 35 |
| 14.კალიარი | 29 | 9 | 8 | 12 | 35:48 | 35 |
| 15.კიევო | 29 | 10 | 5 | 14 | 31:44 | 35 |
| 16.ატალანტა | 29 | 10 | 5 | 14 | 30:42 | 33 |
| 17.ჯენოა | 29 | 6 | 8 | 15 | 29:45 | 26 |
| 18.სიენა | 29 | 8 | 7 | 14 | 29:40 | 25 |
| 19.პალერმო | 29 | 3 | 12 | 14 | 23:43 | 21 |
| 20.პესკარა | 29 | 6 | 3 | 20 | 21:58 | 21 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-შტუტგარტი ............... 1:2
გლადბახი-ჰანოვერი ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 22 | 3 | 1 | 69:11 | 69 |
| 2.დორტმუნდი | 26 | 14 | 7 | 5 | 60:31 | 49 |
| 3.ლევერკუზენი | 26 | 13 | 6 | 7 | 46:34 | 45 |
| 4.აინტრახტი | 26 | 11 | 6 | 9 | 39:37 | 39 |
| 5.შალკე | 26 | 11 | 6 | 9 | 43:43 | 39 |
| 6.მაინცი | 26 | 10 | 8 | 8 | 33:29 | 38 |
| 7.გლადბახი | 26 | 9 | 11 | 6 | 35:35 | 38 |
| 8.ჰამბურგი | 26 | 11 | 5 | 10 | 30:34 | 38 |
| 9.ფრაიბურგი | 26 | 9 | 9 | 8 | 33:33 | 36 |
| 10.ჰანოვერი | 26 | 10 | 4 | 12 | 47:46 | 34 |
| 11.ნიურნბერგი | 26 | 8 | 10 | 8 | 29:32 | 34 |
| 12.შტუტგარტი | 26 | 9 | 5 | 12 | 28:44 | 32 |
| 13.ვოლფსბურგი | 26 | 8 | 7 | 11 | 30:40 | 31 |
| 14.ვერდერი | 26 | 8 | 6 | 12 | 42:51 | 30 |
| 15.ფორტუნა | 26 | 7 | 8 | 11 | 32:36 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 26 | 5 | 9 | 12 | 23:38 | 24 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 26 | 5 | 5 | 16 | 30:49 | 20 |
| 18.ფიურტი | 26 | 2 | 9 | 15 | 16:42 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალენი-ზანდჰაუზენი ..................... 2:2
კაიზერი-ინგოლშტადი ................. 3:0
რეგენსბურგი-აუე ......................... 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანსი-ნიცა ................................... 1:0
ტულუზა-ბორდო ........................... 0:0
სენტ ეტიენი-პსჟ .......................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 17 | 7 | 5 | 53:20 | 58 |
| 2.ლიონი | 29 | 15 | 8 | 6 | 48:30 | 53 |
| 3.მარსელი | 29 | 15 | 6 | 8 | 34:32 | 51 |
| 4.სენტ ეტიენი | 29 | 13 | 10 | 6 | 48:23 | 49 |
| 5.ნიცა | 29 | 13 | 9 | 7 | 41:33 | 48 |
| 6.ლილი | 29 | 12 | 10 | 7 | 41:30 | 46 |
| 7.მონპელიე | 29 | 13 | 6 | 10 | 44:35 | 45 |
| 8. ლორიენი | 29 | 11 | 10 | 8 | 47:44 | 43 |
| 9.ბორდო | 29 | 10 | 12 | 7 | 28:24 | 42 |
| 10.რენი | 29 | 12 | 6 | 11 | 41:39 | 42 |
| 11.ტულუზა | 29 | 9 | 11 | 9 | 33:32 | 38 |
| 12.ვალანსიენი | 29 | 9 | 9 | 11 | 37:41 | 36 |
| 13.აიაჩო | 29 | 8 | 11 | 10 | 30:37 | 33 |
| 14.ბასტია | 29 | 9 | 6 | 14 | 34:53 | 33 |
| 15.ევიანი | 29 | 7 | 9 | 13 | 32:41 | 30 |
| 16.რეიმსი | 29 | 7 | 9 | 13 | 26:35 | 30 |
| 17.ბრესტი | 29 | 8 | 5 | 16 | 28:42 | 29 |
| 18.სოშო | 29 | 7 | 7 | 15 | 30:46 | 28 |
| 19.ტრუა | 29 | 4 | 12 | 13 | 34:51 | 24 |
| 20.ნანსი | 29 | 5 | 9 | 15 | 26:47 | 24 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ბრედა-ტილბურგი ......................... 4:0
ალკმაარი-აიაქსი .......................... 2:3
ფეინოორდი-უტრეხტი .................. 2:1
გრონინგენი-ტვენტე ..................... 0:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა ................ მარი-ნასიონალი 2:2
რიუ ავე-მორიერენსე .................... 0:1
ეშტორილი-აკადემიკა .................. 2:0
მარიტიმუ-პორტუ ......................... 1:1
გიმარაეში-ბენფიკა ...................... 0:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-კრასნოდარი ......................... 1:0
ანჟი-კრ.სოვეტოვი ........................ 1:1
ტერეკი-რუბინი ............................. 0:0
ზენიტი-მორდოვია ........................ 1:0

**შოტლანდია. ლიგის თასი**

**ფინალი**

ხართსი-სტ.მირენი ....................... 2:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-თუნი ................................ 1:0
იანგ ბოიზი-სიონი ........................ 0:0
გრასჰოპერსი-ლუცერნი ............... 0:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-აუსტრია ................ 0:4

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ატრომიტოსი-ასტერასი ............... 0:2
კერკირა-ოლიმპიაკოსი ............... 0:1
პლატანიასი-პანიონიოსი ............. 2:1
პაოკი-პანათინაიკოსი .................. 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-სივასი ........................... 2:1
ორდუ-გაზიანთეპი ........................ 2:3
ქაისერი-გალათასარაი .................. 1:3
ანთალია-ფენერბახჩე ................... 1:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პლზენი-დუკლა ............................. 4:0
ჰრადეც კრალოვე-სპარტა ........... 1:2
იაბლონეცი-ტეპლიცე ................... 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

შლიონსკი-პოდბესკიჟიე .............. 1:1
ვისლა-პოგონი .............................. 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ილიჩოვეცი-არსენალი 2:2

*ილიჩოვეცის ორივე გოლი თორნიკე ოქრიაშვილმა გაიტანა*

დნიპრო-კრივბასი ......................... 1:2

*დნიპროს გოლი ჯაბა კანკავამ გაიტანა*

დინამო-ვორსკლა ........................ 1:0

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-სილკებორგი .............. 1:0
ორხუსი-ოდენსე ........................... 2:1
ბრონდბიუ-მიდტიულანდი ........... 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-სარპსბორგი ....... 2:2
სონგდალი-ტრომსო ...................... 2:2
სტარტი-ჰონეფოსი ....................... 3:2
სტრომგოდსეტი-ულფი ................ 2:0
ოდ გრელანდი-რუსენბორგი ........ 0:1

**აშშ. მლს**

დალასი-ჰიუსტონი ....................... 3:2
ლოს ანჯელესი-ჩივასი ................ 1:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

ველეჟი-ესტუდიანტესი ................ 1:1
რასინგი-ბელგრანო ..................... 1:1
ბოკა-არხენტინოსი ...................... 1:1

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

მილუოკი-ორლანდო ............. 115:109
ტორონტო-მაიამი ..................... 91:108
კლიპერსი-ნიუ იორკი ................ 93:80
მინესოტა-ნიუ ორლეანი ............ 97:95
ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი ... 78:108
დალასი-ოკლაჰომა ................ 101:107
ბრუკლინი-ატლანტა ................ 93:105
ლეიკერსი-საკრამენტო ......... 113:102

**ჩოგბურთი**

**ატპ. ინდიანა უელსი**

**ფინალი**

ნადალი-დელ პოტრო ....... 4:6;6:3;6:4

**ვტა. ინდიანა უელსი**

**ფინალი**

შარაპოვა-ვოზნიაცკი ............ 6:2;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

პიტსბურგი-ბოსტონი .................... 2:1
ოტავა-ვინიპეგი ............................ 4:1
ვაშინგტონი-ბუფალო ................... 5:3
ედმონტონი-ნეშვილი .................. 3:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ეროვნული კინოცენტრის დირექტორობა 15 კანდიდატს სურს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თლის მარეგულირებელი ნორმები; საქართველოს კანონები: „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“; „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“; „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“; „შრომის კოდექსი“; კინოცენტრის დებულება; კინოცენტრის საკონკურსო დებულება; კინოცენტრის საექსპერტო კომისიის დებულება“.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დოკუმენტაციის წარდგენა 15 მარტამდე შეეძლოთ. სხვადასხვა დოკუმენტაციის გარდა, კანდიდატს უნდა გააჩნდეს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის განვითარების სამწლიანი პროგრამა – კინოცენტრის საქმიანობისა და მართვის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ქმედებებისა და მიმართულებების დასაბუთებული ხედვა არაუმეტეს 5 გვერდისა.

კულტურის სამინისტროს ცნობით, კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კანდიდატურები შეირჩევიან მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. მათგან ის კონკურსანტები, რომლებიც არ იქნებიან მოწვეულები მეორე ტურზე, ავტომატურად ეთიშებიან კონკურსს. მეორე ეტაპზე პირველი ეტაპიდან შერჩეულ კანდიდატურებთან ჩატარდება გასაუბრება ზემოთ აღნიშნული უნარების გამოსავლენად. გასაუბრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 20 მარტს გაიმართება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 25 თებერვალს გამოაცხადა კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ საბუთების წარმოდგენის ვადა ამოიწურა და კულტურის სამინისტრომ უკვე წარმოადგინა იმ პირთა ნუსხა, რომლებმაც შეიტანეს განაცხადები. ესენი არიან თეა გაბიძაშვილი, დინარა მაღლაკელიძე, პაატა ციკოლია, ნანა ჯანელიძე, გაგა ჩხეიძე, ნათია მეფარიშვილი, ნიკოლოზ მახარაძე, გელა ენდრიუ სული, ნიკოლოზ მახარაშვილი, ნინო კუნცევა-გაბაშვილი, გენო ცაავა, გენრი კავლელიშვილი, მედეა ფიფია, დავით ჟღენტი და ნინო ედიბერიძე. კანდიდატებთან გასაუბრება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 20 მარტს გაიმართება.

25 თებერვლამდე ეროვნულ კინოცენტრს თამარ ტატიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს მას თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოეწურა. იგი ეროვნული კინოცენტრის დირექტორად 2010 წლის 25 თებერვალს დაინიშნა. ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ახლანდელმა მინისტრმა უახლოეს მომავალში უნდა დანიშნოს ეროვნული კინოცენტრის ახალი დირექტორი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოვლინდება და უწყებას 3 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. 25 თებერვალს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ეროვნული კინოცენტრის დირექტორის სამწლიანი საქმიანობა შეჯამდა და ახალი დირექტორის დანიშვნის წესი გახდა ცნობილი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოვლინდება.

– ეროვნული კინოცენტრი კულტურის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც 12 წლის წინ ფრანგული მოდელის მიხედვით დაფუძნდა და მონაწილეობს კინოს სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში. კინოცენტრის ძირითადი საქმიანობაა კონკურსების საფუძველზე ქართული ფილმების ნაწილობრივი დაფინანსება, ქართული კინოპროდუქციის ექსპორტი, სექტორისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევა და საქართველოს პოზიცირება, როგორც გადასაღებად ხელსაყრელი ტერიტორია. თამარ ტატიშვილის მოღვაწეობა ეროვნულ კინოცენტრში განსაკუთრებით წარმატებული და ნაყოფიერი იყო. მის სახელს უკავშირდება საქართველოს ევროპის საბჭოს კინოს მხარდამჭერის ფონდში „ევრიმაჟი“ გაწევრიანება, ამ ფონდში საქართველოს წარმომადგენელი იყო თამარ ტატიშვილი და ის მომავალშიც წარმოადგენს ქვეყანას „ევრიმაჟში“. საქართველოს მიერთება ისეთ ორგანიზაციასთან, როგორიცაა „ევროპული კინოს პრომოუშენი“; ეროვნულ კინოცენტრში ევროპული კოპროდუქციების დაფინანსების კონკურსის შემოღება; წამყვანი საერთაშორისო ფესტივალების ოფიციალური დელეგაციების ვიზიტები საქართველოში ახალი ქართული ფილმების და ტალანტების გაცნობის მიზნით; ისეთი წარმატებული ფილმების დაფინანსება/წარდგენა, როგორებიცაა სალომე ჯაშის „ბახმარო“, რუსუდან ჭყონიას „გაილიმეთ“, ნანა ჯანელიძის „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ თინა გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“, ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი“, ნანა ექვთიმიშვილის „გრძელი, ნათელი დღეები“ და სხვა ფილმები, – ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

განსაკუთრებით წარმატებული იყო ქართული კინოსთვის 2013 წლის ბერლინალე, რომლის სხვადასხვა სექციაშიც ორი ქართული ფილმი მოხვდა – ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი“ და ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“. ფილმების შერჩევა მოხდა ბერლინალეს დელეგაციის წინასაფესტივალო ვიზიტის დროს თბილისში გასული წლის ოქტომბერში. ბოლო პერიოდში საერთაშორისო კინოსამყარო ალაპარაკდა ქართულ კინოში ახალი ტალღის გამოჩენაზე. მათ შორის, ბერლინალეს დირექტორი დიტერ კოზლიკი და საერთაშორისო პროფესიული მედია, რომელიც კინომოვლენებს აშუქებს. ბოლო 3 წლის განმავლობაში ეროვნული კინოცენტრის პრიორიტეტები იყო, კოპროდუქციების წარმოება: რომელთაგან არაერთი წარმატებული პროექტი უკვე შეიქმნა. ნაწილი ასეთი პროექტების წარმოების პროცესშია და 2013/2014 წლებში დასრულდება. მაგალითად, თეონა გრენადეს ფრანგულ-ქართული პროექტი „ძმა“, ბენ ჰოპკინსის ინგლისურ-ქართულ-გერმანულ-რუსული პროექტი „ეპიკი“, ზაზა ურუშაძის ესტონურ-ქართული პროექტი „მანდარინები“, თინათინ ყაჯრიშვილის ფრანგულ-ქართული პროექტი „პატარძლები“ და სხვა. კინოგანათლების ხელშეწყობა: რობერტ ბოშის ფონდის კოპროდუქციის პრიზის სექციასთან თანამშრომლობა, შესაბამისად საქართველოში 2 სპეციალური „პროექტების ბაზრობის“ ორგანიზება. საგანმანათლებლო პლატფორმასთან „იავე“ თანამშრომლობით სპეციალურად ქართველი კინომოღვაწეებისათვის უორქშოფების და ტრეინინგების ჩატარება.

საერთაშორისო კინოფესტივალებზე საქართველოს და ქართული კინოს პრომოუშენი, მათ შორის, კანის, ბერლინის, ლოკარნოს, სარაევოს, ვისბადენი და მრავალი სხვა საერთაშორისო კინოფესტივალი. უცხოელი კინომწარმოებლების მოზიდვა საქართველოში ქართული და უცხოური პროექტების საწარმოებლად.

– კინოცენტრის მართვა ერთდროულად რთული და მომხიბლავი საქმეა. ერთი მხრივ, ხელს უწყობ ქართული კინოს ახალი სუნთქვის აღდგენას და მეორეს მხრივ, მუდმივად არეგულირებ სფეროში არსებულ ჯანსაღ და არაჯანსაღ ამბიციებს და სუბიექტურობას. 2010-2013 წლები ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, მუდმივად ვგრძნობდი სექტორის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას და ვხედავდი, როგორ იზრდებოდა საქართველოს მიმართ ინტერესი უცხოეთში. საქართველოში კინო მობილიზაციის შესახებ დღეს ყველამ იცის. დარწმუნებული ვარ, რომ 2013-2014 წლებში, ჩვენს მიერ გასულ პერიოდში მხარდაჭერილი პროექტების ეკრანზე გამოსვლით, კიდევ უფრო წინ წავა ეს პროცესი. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს გუნდს და ყველა ინდივიდს და ორგანიზაციას, რომელიც მონდომებით თანამშრომლობდა ჩემთან. იმედს ვიტოვებ, რომ ნებისმიერი მომავალი ხელმძღვანელი შეინარჩუნებს არსებულ სტრატეგიას და მხოლოდ გააუმჯობესებს კინოცენტრის საქმიანობას, – ამბობს ეროვნული კინოცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი თამარ ტატიშვილი.

ბოლო პერიოდში კინო სექტორში განხორციელებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ კინო ამჟამად გარდატეხის ეტაპზეა. 12-წლიანი პაუზა, რომელიც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, გადალახულია. ეროვნული კინოცენტრის არსებობა და მისი ბოლო წლების პროგრამები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა თანამედროვე ქართული კინოს სწორი განვითარების პროცესისათვის. კინოცენტრი ერთადერთი ორგანიზცია, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფს ფილმების განვითარებას, წარმოებას და წარმოჩენას. სახელმწიფო დაფინანსება უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი კინოინდუსტრიის სტიმულირებისთვის.

ბოლო წლებში უშუალოდ კინოწარმოების პროცესი გამოცოცხლდა: ადგილობრივი პროფესიონალების კვალიფიკაცია იზრდება და მათ აქვთ საერთაშორისო არენაზე კონკურენციის გაწევის პოტენციალი. ასეთ დინამიკას ხელი შეუწყო საქართველოს გაწევრიანებამ ურიმაჟეს-ში მეტი ფილმები იქმნება კოპროდუქციის გზით, ანუ კონკრეტულ პროექტზე რამდენიმე ქვეყნიდან გამოიყოფა თანხა.

– მომავალი 2-3 წელიწადი იქნება გადამწყვეტი ქართული კინოინდუსტრიისთვის გაძლიერების პროცესში. დღეს უკვე ჩამოყალიბებულ სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმებს სჭირდება გამყარება. პროცესების სწორი მართვა გამოიწვევს მეტი სამუშაო ადგილების შექმნას და პოტენციურად მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს, ქართულ პროექტებში უცხოური ფულის ჩადების ანდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური პროექტის გადაღების გზით. ამ ფორმით, კინო ეტაპობრივად შესაძლოა ჩამოყალიბდეს, როგორც ეკონომიკური ეფექტის მომტანი შემოქმედებითი ინდუსტრია. ზოგადად, წარმატებული კინოკომისიების მაგალითები გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა (გზები, სასტუმროები, მოშორებულ ადგილებთან მისასვლელი მარშრუტები, კვება და სხვა) და კინოს ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში უცხოური წარმოების მოზიდვის საქმეში. შედეგად იზრდება კინოაპარატურის რაოდენობა, იზრდება კინოში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი, ასევე იმატებს კვალიფიკაციის დონე და თანმიმდევრულად კონკურენციას უწევს საერთაშორისო სტანდარტებს. ეროვნული კინოცენტრის ქმედით ნაბიჯებზე დაყრდნობით და კვლევების შედეგად მოპოვებული მიგნებებით გამოიკვეთა ის პრობლემატიკა, რომელსაც სჭირდება მეტი ყურადღების მიქცევა და სახელმწიფოსა და კინოსექტორის აქტიური ჩართულობა მომავალში. ჩვენი მეცადინეობითა და კვლევებით მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მთელ რიგ ახალ მიმართულებებს. შესაბამისი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, მზად ვართ წარმოგიდგინოთ სამომავლო პრიორიტეტების ნუსხა, – აღნიშნულია ეროვნული კინოცენტრის განცხადებაში.

# რუსთაველის თეატრი რუსეთში მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლი ძალიან ნერვიულობს, ეჩვენება, რომ მის ბინაში დასახლდა ბრმა პოლტერგეისტი. უაღრესად დაძაბული იას ცნობიერებაში არეულია სინამდვილე და ფანტაზია. თანდათან იშლება ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის. დაბნეულ ქალს ვერ გაუგია, რა ხდება მის თავს. „აი თქვენ გღვიძავთ... მეც მღვიძავს, მაგრამ იქნებ მე მძინავს და თქვენ მესიზმრებით“, – მიმართავს იგი მაყურებელს. პიესის გმირი ფსიქიკურად შერყეული მაწანწალაა. თავს მერლინ მონროს ქმრად წარმოგვიდგენს და თავისი ცხოვრების ისტორიას გვიყვება. მან შეთანხმება დადო ამერიკის პრეზიდენტთან. კაცმა თავის ცოლი მისცა, ხოლო პრეზიდენტს მშვიდობა უნდა დაემყარებინა მთელ მსოფლიოში, თუმცა... მშვიდობისათვის მებრძოლი გმირი დახვრიტეს. ექვსმა ჯარისკაცმა ესროლა, მაგრამ ოქმი რომ შეადგინეს, ხუთი ნატყვიარი აღმოჩნდა. ექვსივე დახვრიტეს. – ასეთი განმარტება აქვს სპექტაკლის შესახებ რუსთაველის თეატრს, რომელიც გასული წლის თეატრალური სეზონის ნამდვილი აღმოჩენა და ფათორიტი გახდა.



14 აპრილს უკრაინელი მაყურებლისთვის რუსთაველის თეატრის დასი უკვე რობერტ სტურუას მეორე სპექტაკლს გაითამაშებს. ,,ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და.. პრეზიდენტი“ რეჟისორმა ლაშა ბუღაძის პიესების მიხედვით დადგა, რომელიც ბოლო პერიოდში რუსთაველის თეატრში აკრძალული იყო და აღარ თამაშდებოდა. ორმოქმედებიანი კომედიის მხატვარი თემურ ნინუაა, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე – ციცინო გვაზავა, ხოლო სპორტული ილეთები კახა ხოშტარიას ეკუთვნის. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე, დარეჯან ხარშილაძე, ლევან ხურცია და ნანუკა ხუსკივაძე.

რუსთაველის თეატრის ცნობით, სპექტაკლში ლაშა ბუღაძის ორი პატარა პიესაა წარმოდგენილი. „ვალიკო და ანგელოზები“ მოგვითხრობს ჯარისკაცის ამბავს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ანგელოზი ფიელი. ხეიბარ მებრძოლს ანგელოზები ეწვევიან, მათ უნდათ უკან, ზეცაში დააბრუნონ ფიელი. ამავე დროს უფროსი ანგელოზი ვალიკოს ანეკდოტს უყვება მონადირეზე და დათვზე. მიხვდება კი ჯარისკაცი რისი თქმა სურს ანგელოზს? „დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“ – ქვეყნის პირველ პირს ახალი მცველი ჰყავს. ბიჭი მზადაა თავი გასწიროს პრეზიდენტისთვის. მაგრამ მცველის ბრმა, ფანატიკური სიყვარული და ერთგულება შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს თავად პრეზიდენტისთვის.

16 აპრილიდან 21 აპრილის ჩათვლით კი რუსთაველის თეატრის დასი უკვე რუსეთის დედაქალაქში გადაინაცვლებს. ამ გასტროლის ორგანიზატორია ,,ქართველთა კავშირი რუსეთში“. სპექტაკლები მოსკოვში, მოსსოვეტის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში იქნება წარმოდგენილი. 16, 17 და 18 აპრილს მაყურებელი ,,ნადირობის სეზონს“ ნახავს, ხოლო 20 და 21 აპრილს – ,,ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და.. პრეზიდენტი“.

ამ გასტროლების სანაცვლოდ დაგეგმილია გაცვლითი კულტურული ღონისძიებები. რუსეთში რუსთაველის თეატრის გასტროლის შემდეგ, თბილისში შედგება მოსკოვის მოსსოვეტის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლი. 24 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით მოსკოვის მოსსოვეტის თეატრი რუსთაველის თეატრის სცენაზე გამართავს გასტროლს. დასი თბილისში სამ სპექტაკლს ჩამოიტანს. 24 და 25 აპრილს წარმოდგენილი იქნება ჩეხოვის ,,სამი და“ (რეჟისორი ანდრეი კონჩალოვსკი), 26 და 27 აპრილს ჩეხოვის ,,ძია ვანია“ (რეჟისორი ანდრეი კონჩალოვსკი) და 29 და 30 აპრილს ვაცეტისის ,,აბანოს წინა შესასვლელი“ (რეჟისორი სერგეი იურსკი).



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. ჰუსართა მუნდირი; 4. ნიჩბოსანთა სპორტული ნავის მოძრავი სკამი; 5. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 8. აჭარული ხის სახლი; 9. კართაგენელი მხედართმთავარი; 12. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 13. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 16. სომალის დედაქალაქი; 17. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 19. მდინარე კიევში; 20. წვრილი ოქროს ჯაჭვი.

**თარაზულად:** 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ამინდის რეჟიმი, ჰავა; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. რელიგიური ფერწერის დარგი; 11. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა ძველად; 14. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 15. თბილისელი სახალხო მკურნალი, დასტაქარი; 18. ყინულის ძველი სახელწოდება; 22. მთამსვლელთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 23. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 24. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კალიფორნია; 4. კაქტუსი; 7. მენზურა; 9. თეორემა; 10. ლეიბი; 12. პრეფექტი; 16. მარაბელი; 17. ინდექსი; 18. მეტიზაცია; 20. რევერსი; 21. სინი; 22. კონტაქტი.

**შვეულად:** 1. კომეტა; 2. ოკრიბა; 3. იურთი; 5. ტიტა; 6. სურამი; 8. არიელი; 11. ეპიცენტრი; 13. კანდელი; 14. სიმენსი; 15. მინიონი; 19. იოტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არისა; 2. იდეა; 3. რემბო; 4. პრესა; 5. რძე; 6. აისი; 7. ეპოსი; 8. პაი; 9. ნამიბია; 10. ოლოლო; 11. რა; 12. არტელი; 13. ფირალი; 14. პენტაგონი; 15. ალენ; 16. აბორტი; 17. ეტლი; 18. ფიალა; 19. პა; 20. მალიბუ; 21. მეი; 22. კონტრა; 23. აპკი; 24. „აპასიონატა“; 25. კანტატა; 26. რკალი; 27. ნოტა; 28. კრიმინალი; 29. სტარტი; 30. ლიბრეტო; 31. ერა; 32. აული.

**სურათებზე:** ლუიზიანა ლოპილატო; პედრო ლეონი.

# ჩავესის შემცვლელი ამერიკას მისი მეტოქის მკვლელობის დაგეგმვაში ადანაშაულებს

ნიკოლას მადურომ, რომელიც ვენესუელის პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის გარდაცვალების შემდეგ, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს, ამერიკა 14 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის მცდელობაში დაადანაშაულა.



მადუროს თქმით, პენტაგონსა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს შემდეგი გეგმა აქვთ შემუშავებული-მოკლან ენრიკე კაპრილესი, რომელიც აპრილის არჩევნებში ოპოზიციის ერთიან კანდიდატად მოიაზრება, რითაც ქვეყანაში „ქაოსს გამოიწვევენ“. აღნიშნულის შესახებ მადურომ ტელეარხ თელევენ-ის ეთერში ისაუბრა.

„მე ვაცხადებ, რომ ბარაკ ობამა, როჯერ ნორიეგა(აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი) ოტო რეიგი(აშშ-ს ყოფილი ელჩი ვენესუელაში), სადაზვერვო სააგენტოსა და პენტაგონის თანამშრომლები ქვეყანაში ქაოსის გამოსაწვევად ოპოზიციის კანდიდატის მკვლელობას გეგმავენ“, – აღნიშნა მადურომ.

შეგახსენებთ, რომ ვენესუელას ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლას მადურო ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი გახდა.

ფიცის დადების ცერემონიალი უგო ჩავესის პანაშვიდის შემდეგ კარაკასის ეროვნულ ასამბლეაზე გაიმართა. პრეზიდენტმა ჩავესმა, რომელიც კიბოს დიაგნოზით 5 მარტს გარდაიცვალა თავის მემკვიდრედ სწორედ მადურო დაასახელა.

ქვეყნის ოპოზიცია მადუროს გაპრეზიდენტებას ბოიკოტს უცხადებს. მათი განცხადებით აღნიშნული ქმედება კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. კანონმდებლობის მიხედვით პრეზიდენტის პოსტის დაკავება მხოლოდ ეროვნული ასამბლეის სპიკერს შეეძლო.

ფიცის დადების ცერემონიალის შემდეგ მადურომ განაცხადა, რომ ვენესუელა სოციალური განვითარების გზაზე სვლას განაგრძობს.

ვადამდელი არჩევნები ვენესუელაში 30 დღეში უნდა დაინიშნოს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები



### ბექა!

სიკეთითა და ვაჟკაცობით გამორჩეულს განგებამ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა წილად. მე, შენს დედას კი – მოუშუშებელი ტკივილი.

თორმეტი წელი გავიდა იმ საბედისწერო დღიდან. ცრემლის, უსაშველო მონატრების წლები. უსაზღვროდ მწარეა უიმედოდ დარჩენილი შვილმკვდარი დედის ხვედრი... ყველგან თან დამდევს შენი სახე, შენი ფეხის ხმა, სიცილი... ვერც თვალი გადაეჩვია შენს ლოდინს... ჩემი საფიქრალი ყოველთვის შენ იყავი. ასეა ახლაც, ასე იქნება მომავალშიც. ვიდრე სული მიდგას, შენ მუდამ ჩემთან იქნები, ჩემო ერთადერთო!

ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო მწარედ მოსაგონარო, ტკივილმოუშუშებელო, ნებიერა ბიჭო!

დედა

---

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, რომან გვენცაძე, ვიტალი ხაზარაძე, დავით ზეიკიძე, თორნიკე აფაქიძე, მელორ ტყეშელაშვილი, არნოლდ ჟვანია, მერაბ ზამბახიძე იზიარებენ თინა და ჯამბულ ბასარიების, კობა, ბაკურ და დავით გულუების მწუხარებას

**ბაადურ ბასარიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზაზა შემოზაშვილი, დათო ქართველიშვილი, ლევან ლეკიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბავშვობის მეგობრის

**დიტო რატიანის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს აპარატის თანამშრომელს, ქალბატონ ელისო ცანავას დედის

**ლია ბუკია-ცანავას**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რომის პაპს კანონის დარღვევა მოუწევს



რომის პაპს, ფრანცისკს არგენტინის კანონმდებლობის დარღვევა მოუწევს თუ ის ვატიკანის მოქალაქეობას მიიღებს. ამის შესახებ ინფორმაციას დასავლური მედია ავრცელებს. საქმე ისაა, რომ პონტიფიკოსი ამ დღეებში ვატიკანის პასპორტს ელოდება, თუმცა, არგენტინის კანონები ორმაგ მოქალაქეობას კრძალავს. დღეს შედგება პაპსა და ქვეყნის პრეზიდენტს შორის შეხვედრა, სადაც, როგორც ვარაუდობენ, ეს პრობლემა იქნება განხილული.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი სკანდალი არ არის, რომელიც ახალი პაპის გარშემო აგორდა. რამდენიმე დღით ადრე ის მკვლელობის დაფარვაში დაადანაშაულეს. როგორც ირკვევა, ხორხე ბერგოლიომ რამდენჯერმე უარი განაცხადა სასამართლოს წინაშე წარდგომაზე, რომელიც 1970-იან წლებში, არგენტინაში ბავშვთა გატაცების, გაყიდვის და მკვლელობების საქმეს ეხებოდა.

ბერგოლიო რომის ახალ პაპად 13 მარტს აირჩიეს. კარდინალთა საბჭომ ის მეხუთე ცდის შემდეგ, ხმის მიცემის მეორე დღეს აირჩია. ფრანცისკი პირველი ლათინოამერიკელი პონტიფიკოსი გახდა და პირველი რომის არაევროპელი პაპი ათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

რაც შეეხება ახალი პაპის მოქალაქეობას, შეგახსენებთ, რომ ვატიკანი, სუვერენული ქალაქი-სახელმწიფოა, რომელიც წარმოადგენს კედლებშემორტყმულ ანკლავს რომში, იტალიის დედაქალაქში. ვატიკანის ფართობია 44 ჰექტარი (110 აკრი), მოსახლეობა კი 800 კაცზე ცოტათი მეტი.

ჩამოყალიბდა 1929 წელს, ლატერანის ხელშეკრულების შედეგად. ვატიკანი განსხვავებულია წმინდა ეპარქიისაგან, რომლის საფუძვლები ადრეული ქრისტიანობის ხანას უკავშირდება და მსოფლიოს 1.147 მილიარდი კათოლიკე ქრისტიანისათვის მთავარ ეპარქიას წარმოადგენს. ვატიკანს და წმინდა ეპარქიას პასპორტებიც კი განსხვავებული აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ წმინდა ეპარქია სახელმწიფო არაა, იგი მხოლოდ დიპლომატიურ და სამსახურებრივ პასპორტებს გასცემს, ვატიკანი კი ჩვეულებრივ პასპორტებსაც იძლევა, თუმცა ორივე შემთხვევაში გაცემულ პასპორტთა რაოდენობა ძალიან მცირეა.

ლატერანის ხელშეკრულება ვატიკანს არა როგორც პაპის ოლქის გადმონაშთს, არამედ როგორც ინოვაციას განიხილავდა. პაპის ოლქის უმეტესი ნაწილი იტალიის გაერთიანების დროს, 1860-70 წლებში, იტალიის რესპუბლიკას შეუერთდა; პონტიფიკოსმა ამ მიწებზე კონტროლი დაკარგა. ვატიკანი არის ეკლესიასტიკური სახელმწიფო, რომელსაც რომის ეპისკოპოსი – ანუ პაპი – მართავს. ამ სახელმწიფოს ყველა მაღალი რანგის ოფიციალური პირი არის კათოლიკე სამღვდელოების სხვადასხვა ეროვნების წევრი. ვატიკანი არის წმინდა ეპარქიის სუვერენული ტერიტორია და პაპის ოფიციალური რეზიდენციის – აპოსტოლური სასახლის – ადგილი.

პაპები 1377 წელს მათი ავინიონიდან დაბრუნების შემდეგ უმეტესწილად იმ არემარეში ცხოვრობდნენ, რომელიც 1929 წელს ვატიკანი გახდა. თუმცა სხვადასხვა დროს პაპებს რომის ქვირინალის და ლატერანის სასახლეებშიც დაუდიათ რეზიდენცია.

# სირიის ოპოზიცია არმიის გენერლის გაქცევის შესახებ საუბრობს



სირიის ოპოზიციის მტკიცებით, მათ მხარეზე არმიის გენერალი გადავიდა. ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, გენერლის სახელია მოჰამედ ნურ ეზ ალ-დინ ხალუფი.

მასთან ერთად მისი ვაჟი, სირიის არმიის კაპიტანიც გაიქცა, რომელიც, როგორც აღნიშნავენ, სადაზვერვო ნაწილს ხელმძღვანელობდა.

გავრცელებული ინფორმაციით, გენერალმა უკვე მოახერხა იორდანიაში ჩასვლა. ოპოზიციის აქტივისტის სეიფ ალ-ხურანის თქმით, რომელიც, როგორც თავად ამბობს, გენერალს გაქცევაში დაეხმარა, გაქცევა რამდენიმე თვის განმავლობაში მზადდებოდა.

სირიაში კონფლიქტის გაგრძელების შემთხვევაში დევნილთა რაოდენობა მიმდინარე წელს, შესაძლოა, ორჯერ ან სულაც სამჯერ გაიზარდოს. ამის შესახებ გაეროს დევნილთა უმაღლესმა კომისარმა ანტონიუ გუტერეშმა განაცხადა.

თურქეთში ვიზიტად მყოფმა გუტერეშმა აღნიშნა, რომ თუ სირიის კრიზისი დროში გაიჭიმება, ის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს სოციალური აფეთქებით ემუქრება. კონფლიქტი სირიაში ახალ ფაზაში გადავიდა. სრულიად მოულოდნელად ამბოხებულებმა ქალაქ ხომსზე იერიშის დაწყების შესახებ განაცხადეს.

გაეროს მონაცემებით, 2011 წლის მარტიდან, როდესაც სირიაში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო, დაღუპულია 70 ათასამდე ადამიანი. მილიონზე მეტი სირიელი დევნილობაში იმყოფება.

ქვეყანაში ზუსტად ორი წლის წინ დაწყებულ კონფლიქტს, გაეროს მონაცემებით, 70 000 ადამიანი ემსხვერპლა.

# იაპონიაში საკურა უჩვეულოდ ადრე აყვავდა



ერთ-ერთი იაპონური ტრადიცია საკურას ყვავილობის დაკვირვებაა. აქ ერთგვარი პროგნოზიც შეადგინეს, რომელიც საშუალებას იძლევა, გაიგონ ზუსტად, როდის მიაღწევს ყვავილობის ტალღა ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში.

2013 წლისთვის გაკეთებული ამ პროგნოზით, იაპონიის უმსხვილეს კუნძულ ჰონსიუზე პირველი ყვავილი მარტის მეორე ნახევარში - აპრილის დასაწყისში უნდა გაშლილიყო, მაგრამ ბუნებამ თავად დაიჭირა თადარიგი და საკურა უჩვეულოდ ადრე აყვავდა.

საკურა დეკორატიული ალუბლის ხისა და მისი ყვავილების იაპონური სახელია. საკუთრივ ნაყოფი ალუბალი (იაპ. საკურანბო) მიიღება განსხვავებული ჯიშის საკურასგან. საკურა ასევე არის საკუთარი სახელი.

ყვავილობს გაზაფხულზე; ყვავილების შეფერილობა იცვლება: მკვეთრი ვარდისფერიდან თეთრამდე. საკურას ნაყოფი, დამარილებული ფოთლები და ყვავილები გამოიყენება საკვებ პროდუქტებში.

საკურა – ძველთაგანვე პატივცემული იაპონელების მიერ, იაპონიისა და იაპონური კულტურის სიმბოლოდ ითვლება.

27 მარტს, დაწყებული ჰეისეის მეოთხე წლიდან (1992), საზოგადოებრივი ორგანიზაცია „იაპონური საკურის საზოგადოების“ მიერ შემოღებულია საკურას ყვავილობის დღესასწაული.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 19 მარტი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.10 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი/ 17.00 „საფარი„ 17.30 თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის ცერემონიალის გახსნა (პ/რ) 17.00 ევროპის ჩემპიონატი თავისუფალი ჭიდაობაში. ფინალები (პ/რ) 21.00 ტ/სერ „მიმინო„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 მხ/ფ „მისტერ ვუდქოქი„ (ს.სარანდონი) 01.30 დ/ფ „ მშვიდობით ამხანაგებო„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 7 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 6 ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 8 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 დოკ/ფ „მაფიის დაუწერელი კანონი„ 1 ნაწ. 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ბაზა„ (ს.ელ ჯექსონი) 00.15 მხ/ფ „წვრილფეხა თაღლითები„ (მ.რაპაპორტი) 01.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ.„ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „მესაზღვრე ბერები„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ „წმინდა ოთხთავი„ II ნაწ. 13.15 კონცერტი-ლიანა ისაკაძე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დოკ/ფ „ფურცლები ფრანგული დღიურიდან„ 16.55 საღვთისმსახურო წელიწადი 17.15, 18.30, 01.45 ანდრია კრიტელის კანონი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მარხვა და ლოცვა - მეუფე დანიელი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ „საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი„ 23.50 ფოტოგალერეა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 მარტი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6583 |
| ევრო | 2,1657 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5128 |
| 100 რუსული რუბლი | 5,3982 |

## ამინდის პროგნოზი 19 მარტისთვის





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან იყიდება
პირველი და მეორე ტომები
1 მარტიდან
მესამე ტომი
5 მარტიდან
მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55


## ასტროპროგნოზი 19 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** – არ აჩქარდეთ, მაინც აზრი არ აქვს. **კურო** – რთულ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ, ასე აჯობებს. **ტყუპები** – კარგ ხასიათზე ხართ, ასე განაგრძეთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ქალწული** – რომანტიკული განწყობა არ ნელდება, ეს ძალიან კარგია. **სასწორი** – მოემზადეთ ოპონენტებთან შესახვედრად. **მორიელი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, მთავარია მონდომება, რაც არ გაკლიათ. **მშვილდოსანი** – იფიქრეთ და გამოსავალსაც იპოვით. **თხის რქა** – ფული გაქვთ, მეტსაც იშოვით. **მერწყული** – კარგ ხასიათზე ხართ, ამის მიზეზი ნამდვილად გაქვთ. **თევზები** – ფულის პრობლემას, უფრო სწორად, უფულობას თქვენი მეგობრები უშველიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. რაიმეს მწვავე ნაკლებობა; 3. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 4. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 5. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 8. პოლონელი კომპოზიტორი, ეროვნული საოპერო სკოლის ფუძემდებელი; 12. ძვირფასმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 13. რაიმე სიდიდეების გრაფიკულად გამოსახული თანაფარდობა; 14. აეროპორტი ვარშავაში; 16. კინოკომედია „ლონდრე“-ს კინორეჟისორი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 20. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე.

**თარაზულად:** 6. ესტრადის მომღერალთა სახელწოდება საფრანგეთში; 7. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში; 8. ნახატი, სურათი ზღვის ხედით; 9. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 10. ავადმყოფობის დადგენა გამოკვლევის შედეგად; 11. ნაყინის ერთ-ერთი სახეობა; 15. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 17. ქართული მინერალური წყალი; 19. „შუშანიკის წამების“ ავტორი; 21. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 22. ძველებური ინდური მაგიდის სათამაშო, ჭადრაკის წინამორბედი; 23. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## საქართველო პარიზშია



22 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საფრანგეთის ნაკრებს სტუმრად გაეჯიბრება. თამაშს ქვეყნის მთავარი სარბიელი, სენ-დენის სტად დე ფრანსი უმასპინძლებს.

ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებსაც ფრანგებთან მატჩისთვის უხმო. საქართველოს ნაკრები გუშინ პარიზში შეიკრიბა და ყველა ვარჯიშს იქ ჩაატარებს, ქეცბაია კი გუნდს თბილისში ჩამოუსვლელად, პირდაპირ კვიპროსიდან შეუერთდა.

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო თბ), ნუკრი რევიშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი მაკარიძე (ლე მანი, საფრანგეთი);

მცველები: უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (მორდოვია, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერი, თურქეთი), დავით კვირკველია (დილა), საბა კვირკველია (რუბინი, რუსეთი);

ნახევარმცველები: ბუბა დაუშვილი, ლევან ყენია (ორივე კარპატი, უკრაინა), სანდრო კობახიძე (არსენალი, უკრაინა), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), ირაკლი ძარია (დინამო თბ), ელგუჯა გრიგალაშვილი (ტორპედო), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ირაკლი მაისურაძე (დილა), დავით დევდარიანი (ორხუსი, დანია);

თავდამსხმელები: ლადო დვალიშვილი (ლეგია, პოლონეთი), მათე ვაწაძე (ორჰუსი, დანია), ნიკა გელაშვილი (ბოხუმი, გერმანია)

გეტყვით იმასაც, რომ საფრანგეთი-საქართველოს მატჩს ხორვატი მსაჯები მოემსახურებიან: ივან ბებეკი – მთავარი მსაჯი, ტომისლავ პეტროვიჩი და მირო გრგიში – თანამსაჯები, დომაგოი ვუჩკოვი – მეოთხე მსაჯი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ეროვნული კინოცენტრის დირექტორობა 15 კანდიდატს სურს

15 მარტს ამოიწურა ვადა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე განაცხადების წარსადგენად. კონკურსი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა: „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად. კონკურსში მონაწილეობის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს: უმაღლესი განათლება; არანაკლებ 3 წლის მმართველობითი მუშაობის გამოცდილება; მენეჯმენტის საფუძვლების ფლობა; კინოხელოვნების სპეციფიკის ცოდნა; საერთაშორისო კინოინსტიტუციების, კინოორგანიზაციებისა და კინოფონდების საქმიანობის ორგანიზაციის ცოდნა; ინგლისური ენის ცოდნა; ორგანიზატორული უნარ-ჩვევები; გუნდური მუშაობის გამოცდილება, ადამიანური რესურსების მართვა და კომუნიკაბელურობა; ძირითადი საკანონმდებლო ბაზის ფლობა (საქართველოს კონსტიტუცია; „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“; სამოქალაქო კოდექსიდან: სანივთო /ქონებრივი/ სამარ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## რუსთაველის თეატრი რუსეთში მიდის

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრი აპრილის თვეში გასტროლებზე რუსეთსა და უკრაინაში ჩავა. „ერისიონის“ შემდეგ რუსეთში ანსამბლებს „რუსთავი“ და „სუხიშვილები“ რომ ელოდებოდნენ, ეს ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი იყო, ამჯერად მათ რიცხვს რუსთაველის თეატრიც შეუერთდა და უკრაინაში დაწყებული გასტროლები რუსეთში დასრულდება.

რობერტ სტურუასგან ეს ნაბიჯი ალბათ ბევრს არ გაუკვირდება, რადგან რუსთაველის თეატრში დაბრუნებამდე მაესტრო სწორედ მოსკოვში ალექსანდრე კალიაგინის თეატრში „ეტ სეტერა“ მუშაობდა.

რუსთაველის თეატრის გასტროლი 12 აპრილიდან დაიწყება. უკრაინის დედაქალაქ კიევში ფრანკოს სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დასი ორ სპექტაკლს წარმოადგენს. ორივე სპექტაკლი რობერტ სტურუას დადგმულია და ორივე – გახმაურებული. 12 და 13 აპრილს ქართველი მსახიობები უკრაინელი მაყურებლისთვის ითამაშებენ თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „ნადირობის სეზონი“, რომელიც ტრაგიკომიკური ფანტასმაგორიაა ერთ მოქმედებად. სპექტაკლში გამოყენებულია ფრაგმენტები ბახის,



ჩერჩილის, სტოტჰარტისა და რუბის მუსიკალური ნაწარმოებებიდან. წარმოდგენის მხატვარია თემურ ნინუა, კომპოზიტორი – გია ყანჩელი, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე – ციცნო გვაზავა. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები გოგა ბარბაქაძე, სანდრო მიკუჩაძე-ლალანიძე, ზუკა პაპუაშვილი, ია სუხიტაშვილი, ზაზა ბარათაშვილი, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, გაგი სვანიძე და ბექა სონღულაშვილი.

– ახალგაზრდა მსახიობი ქალი ია პრემიერისთვის ემზადება. პიესის ავტორი – ალე მისი საყვარელია. ქა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი